



Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Arnold Chikobava Institute of Linguistics  
Institute of Caucasiology  
Academy of Sciences of Tskhum-Abkhazia

Nana M. Machavariani, Rita Amichba-Marghania

# **Abkhazian Language**

## **Textbook**

(Grammar Review, Texts and Dictionary Included)

Tbilisi  
2018

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი  
კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი  
ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია

ნანა მაჭავარიანი, რიტა ამიჭბა-მარღანია

## აფხაზური ენის პრაქტიკული სახელმძღვანელო

(გრამატიკული მიმოხილვა, ტექსტები, ლექსიკონი)

თბილისი  
2018

„აფხაზური ენის პრაქტიკული სახელმძღვანელო“ მოიცავს აფხაზური ენის პრაქტიკული შესწავლისათვის გამიზნულ გაკვეთილებს, რომლებიც აფხაზური ენის ფონოლოგიური სისტემის გათვალისწინებითაა აგებული. თითოეულ გაკვეთილში გაერთიანებულია წარმოთქმის ადგილისა და ჟღერადობის მიხედვით გაერთიანებული ფონემები. თითოეული ფონემა დახასიათებულია აგრეთვე თავისი მორფოლოგიური ფუნქციის მიხედვითაც, გარდა დრო-კილოთა მაწარმოებელ აფიქსებში მათი მონაწილეობისა (ეს საკითხი განხილულია დრო-კილოთა კატეგორიების განხილვისას). მოცემულია აფხაზურიდან ქართულად და ქართულიდან აფხაზურად სათარგმნი ტექსტები, სავარჯიშოები, მოხმობილია ანდაზები და აფორიზმები... თითოეული გაკვეთილის ბოლოს ჩამოთვლილია ამ გაკვეთილში არსებული ახალი სიტყვები.

სახელმძღვანელოს ერთვის აფხაზური ენის გრამატიკული მიმოხილვა, გამოყენებული ლიტერატურა, რეზიუმე ინგლისურ ენაზე, აფხაზური ტექსტები ქართული სიტყვასიტყვითი თარგმანით, 7000 სიტყვიანი აფხაზურ-ქართული ლექსიკონი.

წიგნი განკუთვნილია აფხაზური ენის შესწავლით დაინტერესებულ პირთათვის.

რეცენზენტი – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის  
წევრ-კორესპონდენტი, პროფ. ვ. შენგელია

ტექნიკური რედაქტორი – ლ. ვაშაკიძე  
რეზიუმეს ინგლისური თარგმანი – რ. ჯაიანი  
კომპიუტერული უზრუნველყოფა – რ. პაპიაშვილი

დაიბეჭდა თსუ გამომცემლობის სტამბაში

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

## სარჩევი

შესავალი .....	7
გაკვეთილი №1 (А а, Е е, И и, О о, У у, Ы ы).....	10
გაკვეთილი №2 (Б б, Ѓ ѓ, П п) .....	17
გაკვეთილი №3 (Д д, Т т, Т т).....	21
გაკვეთილი №4 (Дә дә, Тә тә, Тә тә).....	25
გაკვეთილი №5 (Г г, К к, К к).....	30
გაკვეთილი №6 (Гь гь, Кь кь, Кь кь).....	34
გაკვეთილი №7 (Гә гә, Кә кә, Кә кә).....	38
გაკვეთილი №8 (К к, Кә кә, Кь кь).....	43
გაკვეთილი №9 (З з, Ц ц, Ц ц) .....	48
გაკვეთილი №10 (Зә зә, Цә цә, Цә цә) .....	53
გაკვეთილი №11 (Ць ць, Ч ч, Ч ч) .....	59
გაკვეთილი №12 (Ц ц, Ё ё, Ё ё) .....	64
გაკვეთილი №13 (В в, Ф ф) .....	68
გაკვეთილი №14 (З з, С с).....	71
გაკვეთილი №15 (Жь жь, Шь шь) .....	74
გაკვეთილი №16 (Жә жә, Шә шә).....	77
გაკვეთილი №17 (Ж ж, Ш ш).....	80
გაკვეთილი №18 (Ҳ ҳ, X x) .....	83
გაკვეთილი №19 (Ҳә ҳә, Xә хә) .....	86
გაკვეთილი №20 (Ҳь һь, Xь хь).....	89
გაკვეთილი №21 (X x, Xә хә, Ө ө).....	93
გაკვეთილი №22 (М м, Н н, Л л, Р р).....	98
გრამატიკული მიმოხილვა.....	104
ლიტერატურა.....	182
Summary.....	188
ტექსტები.....	209
შემოკლებათა განმარტებები .....	225
ლექსიკონი.....	226

## აფხაზური ანბანი

აფხაზური ანბანი аҧсуа нбан	ქართული ტრანკრიფცია აკყრუათა транскрипция	აფხაზური ანბანი аҧсуа нбан	ქართული ტრანკრიფცია აკყრუათა транскрипция
А а	ა	П п	პ
Б б	ბ	Гҭ гҭ	ფ
В в	ვ	Р р	რ
Г г	გ	С с	ს
Гь гь	გ̣	Т т	ტ
Гә гә	გ°	Тә тә	ტ°
Ծ Ծ	ღ	Ӏ т	თ
Ծь Ծь	ღ̣	Ӏә тә	თ°
Ծә Ծә	ღ°	У у	ჟ// უ
Д д	დ	Ф ф	ფ
Дә дә	დ°	Х х	ხ
Е е	ე	Хь хь	ხ̣
Ж ж	ჟ	Хә хә	ხ°
Жь жь	ჟ̣	Х х	ჰ
Жә жә	ჟ°	Хә хә	ჰ°
З з	ზ	Ц ц	ც
З з	ძ	Цә цә	ც°
Зә зә	ძ°	Ц ц	წ
И и	ი // ი	Цә цә	წ°
К к	კ	Ч ч	ჩ
Кь кь	კ̣	Ч ч	ჭ
Кә кә	კ°	Ӈ е	ჩ°
Қ қ	ქ	Ӈ е	ჭ°
Қь қь	ქ̣	Ш ш	შ
Қә қә	ქ°	Шь шь	შ
К к	ყ	Шә шә	შ°
Кь кь	ყ̣	Ы ы	ღ
Кә кә	ყ°	ӊ ӊ	წ
Л л	ლ	Ц ц	ჯ
М м	მ	Ць ць	ჯ
Н н	ნ	ь	~
О о	ო	ә	°

## შესავალი

აფხაზური ენა განეკუთვნება იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის აფხაზურ-ჩერქეზულ ენათა ჯგუფს. ამ ჯგუფში აფხაზურის გარდა გაერთიანებულია აბაზური, ყაზარდოული, ადიღეური და უბიხური ენები.

აფხაზურ ენაზე მოლაპარაკე აფხაზები ცხოვრობენ საქართველოში, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, მცირე ჯგუფი ცხოვრობს აჭარაში (ბათუმსა და მის მიმდებარე სოფლებში).

აფხაზები ცხოვრობენ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ასევე – თურქეთსა და სირიაში.

აფხაზური ენის დიალექტებია აბჟურული და ბზიფური. აბჟურული დიალექტი გავრცელებულია ოჩამჩირის რაიონში, ბზიფური დიალექტი – გუდაუთის რაიონში.

აფხაზური ახალდამწერლობიანი ენაა. დამწერლობის შექმნის პირველი ცდა ეკუთვნის რუს გენერალს, კავკასიოლოგ **პ. უსლარს** (1862).

პირველი საანაბანო წიგნი გამოიცა 1865 წელს თბილისში. ეს იყო რუსული გრაფიკის საფუძველზე შედგენილი აფხაზური ანბანი.

შემდგომში აფხაზურმა ანბანმა რამდენჯერმე განიცადა ცვლილება. რუსული გრაფიკის საფუძველზე შედგენილი ანბანის რამდენიმე სახეობა იხმარებოდა 1926 წლამდე. 1926-1938 წლებში გამოიყენებოდა ჯერ აკად. **ნ. მარის** მიერ შედგენილი ე. წ. ანალიზური ანბანი ლათინური ანბანის საფუძველზე, ხოლო შემდეგ **ნ. იაკოვლევის** მიერ ლათინურ გრაფიკაზე დაფუძნებული ანბანი. 1938-1954 წლებში იხმარებოდა ქართული გრაფიკის საფუძველზე შექმნილი ანბანი, ხოლო 1954 წლიდან დღემდე მოქმედებს ისევ რუსულ გრაფიკაზე დაფუძნებული ანბანი (გვანცელაძე 2003: 18-20).

პირველი ცდა აფხაზური სიტყვებისა და ფრაზების ჩაწერისა მოცემულია თურქი მოგზაურის **ევლია ჩელების** ჩანაწერებში (XVIII), აგრეთვე ფრანგი მოგზაურის **ჟან გამბას** ჩანაწერებში (XIX ს.-ის I ნახ.).

აფხაზური ენის პირველი მოკლე მეცნიერული აღწერა მოცემულია გერმანელი ენათმეცნიერის **გ. როზენის** ნაშრომში "Ossetische Sprachlehre nebst einer Abhandlung über das Mingrelische, Suanische und Abchasische", რომელიც ბერლინში დაიბეჭდა 1846 წელს.

აფხაზური ენის პირველი სრული გრამატიკული აღწერა ეკუთვნის **პ. უსლარს**, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის მრავალი იბერიულ-

კავკასური ენის შესწავლის საქმეში. პ. უსლარის მონოგრაფია "Этнография Кавказа. Языкознание. Абхазский язык" დღემდე აფხაზური ენის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოკვლევადაა აღიარებული და ჯერაც არ დაუკარგავს აქტუალურობა.

აფხაზური ენის ქართულთან ნათესაობის პრობლემისადმი მიძღვნილი ცნობილი ქართველი პედაგოგისა და მეცნიერის, პ. ჭარაიას გამოკვლევა "Об отношении абхазского языка к яфетическим", პეტერბურგი, 1912.

აღსანიშნავია ნ. მარის "К вопросу о положении Абхазского языка к яфетическим", 1912, "О языке и истории абхазов", М.-Л., 1938.

აფხაზური ენის მოკლე გრამატიკული მიმოხილვა ეკუთვნის ცნობილ გერმანელ კავკასიოლოგს ა. დირს, რომელიც შესულია მის წიგნში "Einführung in das Studium der Kaukasischen Sprachen", ლაიფციგი, 1928.

აფხაზური ენის ფონეტიკისა და მორფოლოგიის მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავდა ა. გენკო აფხაზურ ენასთან მიმართებაში.

წარმატებით იკვლევდა აფხაზური ენის საკითხებს ცნობილი ისტორიკოსი და ენათმეცნიერი, აკად. ს. ჯანაშია.

შემდგომში აფხაზური ენის შესწავლის საქმე განაგრძო ცნობილმა ქართველმა ენათმეცნიერმა, აკადემიკოსმა ე. ლომთათიძემ. აფხაზური ენის არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საკითხი არ დარჩენილა ქეთევან ლომთათიძის ყურადღების მიღმა. ის გარემოება, რომ აფხაზური ენა მთის იბერიულ-კავკასიურ ენათაგან ერთ-ერთ ყველაზე უკეთ შესწავლილ ენად ითვლება, ე. ლომთათიძის მრავალრიცხოვან ნაშრომთა შედეგია.

უცხოელ მკვლევართაგან საგანგებოდაა აღსანიშნავი ფრანგი კავკასიოლოგის ჟ. დიუმეზილისა და გ. დეტერსის დამსახურება აფხაზური ენის კვლევის საქმეში.

აფხაზურ ენას დიდი წარმატებით იკვლევენ აფხაზი ენათმეცნიერებიც. აფხაზური ენის კვლევა აფხაზეთში დ. გულიამ დაიწყო, მან რამდენიმე საყურადღებო ნაშრომიც შექმნა ამ დარგში. აფხაზ მკვლევართა ნაშრომები ეხება აფხაზური ენის ფონეტიკა-ფონოლოგიას, მორფოლოგიას, სინტაქსს, ლექსიკას, ლექსიკოგრაფიას, დიალექტოლოგიასა და სხვა კარდინალურ საკითხებს.

აფხაზური ენის გამოქვეყნებული ლექსიკონებიდან აღსანიშნავია ნ. მარის მოკლე „აფხაზურ-რუსული ლექსიკონი“ (მოსკოვი-ლენინგრადი, 1938), ბ. ჯანაშიას „აფხაზურ-ქართული ლექსიკონი“ (თბილისი, 1954), „აფხაზური ენის განმარტებითი ლექსიკონი“ ავტორთა კოლექ-



ტივისა (I ტ. სოხუმი, 1986, II ტ. სოხუმი, 1987), რომელიც ამ ენის პირველ განმარტებით ლექსიკონს წარმოადგენს.

ცალკე უნდა აღინიშნოს **ვ. კასლანძიას** „აფხაზურ-რუსული ლექსიკონი“ (სოხუმი, 2003), **თ. გვანცელაძის** „აფხაზურ-ქართული ლექსიკონი“ (თბილისი, 2012), ავტორთა კოლექტივის „რუსულ-აფხაზური ლექსიკონი“ და დარგობრივ-ტერმინოლოგიური ლექსიკონები.

აფხაზური ენის სისტემურ კვლევას ჩვენში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისთანავე მიექცა ყურადღება. ამ მიზნით, აკად. **ივ. ჯავახიშვილს** განზრახული ჰქონდა, მოეწვია აფხაზური ენის კურსის წასაკითხად პ. ჭარაია, მაგრამ იგი, სამწუხაროდ, გარდაიცვალა. 1922-1924 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ ენის კურსს კითხულობდა **დ. გულია**, შემდეგ კი 30-იანი წლების მეორე ნახევრამდე – აკად. **ს. ჯანაშია**, რომელსაც 1937 წლიდან შეენაცვლა **ქ. ლომთათიძე**. ქ. ლომთათიძემ აღზარდა აფხაზური ენის მრავალი აფხაზი, ქართველი და უცხოელი სპეციალისტი.

უცხოეთში აფხაზურ ენას იკვლევდნენ და იკვლევენ: **კ. ბოუდა**, **ვ. ალენი**, **ა. კუიპერსი**, **კ. პარი**, **გ. შარაშიძე**, **ჯ. ჰიუიტი**, **ა. სპრუიტი**, **ვ. ლუკასენი** და სხვანი.

აფხაზური ენის კვლევის მიმართულებით აღსანიშნავია აფხაზი ენათმეცნიერების **ლ. ჭკადუას**, **შ. არისთავას**, **კ. შაყრილის**, **ხ. ბლაჟბას**, **ვ. კონჯარიას**, **ვლ. კასლანძიას**, **ო. ძიძარიას**, **ე. კილბას**, **ლ. ჰაგბას**, **ა. ხეციას** და სხვათა ნაშრომები.

## გაკვეთილი № 1

## ხმოვანთა სისტემა

## А а, Е е, И и, О о, У у, Ы ы

## А а

დაბალი აწეულობის ვიწრო ხმოვანი.

განსაზღვრულობის პრეფიქსი. აწარმოებს ზოგად სალექსიკონო ფორმას, ნივთთა კატეგორიის კუთვნილების აფიქსი: **аҕы ашыапы** „ცხენის ფეხი“, ნივთთა კატეგორიის III პ.-ის მრ. რ.-ის ნიშანი ზმნაში: **д-а-геит** „მან (ნ.) ის (ად.) წაიყვანა“, რიგობითი რიცხვითი სახელის მაწარმოებელი: **а-хпҕа** „მესამე“ (ნ.), ირ. ობ.-ის თანმხლები ზმნის სამი-მარტეზო პრეფიქსი: **и-л-а-р-хэит** „ისინი მას (ქ.) რაღაცას (ნ.) ეუბნებიან“.

## თარგმნეთ ქართულად:

- Аа, ан.
- Аа, А́мра. Аа, а́мза. Амра п̄хóит. Амза лашóит.
- Абри́ дárбан?
- А́ри Темы́р иóуп.
- Ари́ дárбан?
- Ари́ сарá соуп.
- Бзы́ара убáаит!
- Бзы́ара ббáаит!
- Абзы́араз!

Сарá, уарá, барá, иарá, ларá, иарá, харá, шəарá, дарá...

- А́а, ауниверситéт.
- ари́ закúзеи //закúзи?
- ари́ ааудитóриа а́уп. Ааудитóриа дúуп, илашóуп.
- Ари́ Темы́р иоума?
- А́аи, ари́ Темы́р иóуп.
- Ари́ Лáша иóума?
- Мап, ари́ А́втандил иóуп.
- И́убозеи уарá?
- Сарá амра збоит.

- Ўбода уарá?
- Сарá Амза дызбоит.
- Ўбода барá?
- Сарá саб дызбóит.
- Сарá избóит
- уарá иубóит
- барá иибóит
- иарá ибóит
- ларá илбоит
- Уарá уабáнхои? – Сарá Қáрт сынхóит.
- Барá бабáнхои? – Сара Гагра сынхóит.
- Иарá дабáнхои? – Иарá Áкæа дынхóит.
- Ларá дабáнхои? – Ларá Гал дынхóит.

áа – აი	харá – ჩვენ
áаи (аиéи) – დიახ	шæарá – თქვენ
áмра – მზე	дарá – ისინი
Áмра – ქალის სახელი	сарá соуп – მე ვარ
аласнá – ლეკვი	ацарá – წასვლა
атамá – ატამი	агъшарá – ყურება; ლოდინი
амшýн – ზღვა	ахьз – სახელი
арí/абрí – ეს	атæарá – ჯდომა
анí /абнí – ის	áччара – სიცილი
ýи (убрí) – ის	агýлара – ადგომა
мшыбзиá – გამარჯობა	áшæа – სიმღერა
бзиá (ра) бнáит – გამარჯობა (ქ. მიმართ)	áшæахæара – მღერა
абзиáраз – ნახვამდის	ауниверситét – უნივერსიტეტი
сарá – მე	закáызеи //закáызи – ეს რა არის?
уарá – შენ (მკ.)	áуп – არის
барá – შენ (ქ.)	адý – დიდი
иарá – ის (მკ.)	áлаша – ნათელი
ларá – ის (ქ.)	абарá – ხედვა, დანახვა
	анхарá – ცხოვრება

**E e**

წინა წარმოების, საშუალო აწეულობის ხმოვანი. აფხაზური წარმოშობის სიტყვაფორმებში ეს ხმოვანი მეორეულია.

аэш – ციყვი	есыуаха – ყოველლამ
иацы / иецы – გუშინ	есымзá – ყოველთვე
ескынгы́ – ყოველთვის	еихá – მეტად

**თარგმნეთ ქართულად:**

Сарá иацы аэш збéит. Аэш áцла íкэлóит. Уí пшзóуп, ихэцуп. Áмза есыуаха илашоит. Уí есымзá аеы́псахует. Áмра ескынгы́ харпхóит. Тамáр зегь рéиха дыбзíоуп. Аýскэа егырыла íкоуп.

**თარგმნეთ აფხაზურად:**

მე გუშინ თრითინა ვნახე. თრითინა ხეზე ადის. იგი ლამაზია, პატარაა. მთვარე ყოველლამ ანათებს. იგი ყოველთვე იცვლება. მზე მუდამ ათბობს. თამარი უფრო უკეთესია.

- Уарá Темы́р иацы дыубама?
- Áаи, сарá Темы́р иацы дызбéит.
- Иуáихэи Темыр.
- Áсалам шэзáаитиит.

**ჩასვით სიტყვები წერტილების ნაცვლად:**

Сарá . . . . . збéит . . . . . áцла íкэлóит. Уи . . . . . Áмра . . . . . пхóит.  
Тамáр . . . . . бзиóуп.

**უპასუხეთ კითხვებს:**

- Барá аэш бзíа иббома?
- Манана, барá áмра барпхáма?
- Изеипшрóузеи áмза?
- Изеипшрóузеи аэш?

---

аэш – ციყვი	ахэычý – პატარა ბავშვი
иацы // иецы – გუშინ	áмра – მზე
ескынгы́ – ყოველთვის, მუდამ	áмза – მთვარე

есѣуаха – ყოველლამე	арѣхарá – გათბობა
есѣмза – ყოველთვე	зегьн – ყველა
еихá – უფრო მეტად	абарá – ხედვა, დანახვა
áкәларá – 1. რაიმეზე ზედ ასვლა; 2. თავდასხმა	

## И и

წინა წარმოების ზედა აწეულობის ხმოვანი, მამაკაცთა კლასის III პირის, მრავლობითი რიცხვის III პირის, ასევე ნივთთა კლასის III პირის კუთვნილების ნიშანი; მომდინარეობს **иара** (ის მკ., ნ.) ნაცვალ-სახელისაგან. სამიმართებო პრეფიქსი; „და“ კავშირის ფუნქციის მქონე ელემენტი.

иарá – იგი (მკ.)	иахá – უფრო მეტად
а-иарá – წოლა	а-иа́ша – სწორი
иáрбан – რა, რომელი?	а-иа́ша – სიმართლე
а-иáрта – ლოგინი	á-иашья // áешья – ძმა
иахá – გუშინ	и́рласны – სწრაფად
иахья – დღეს	

### თარგმნეთ ქართულად:

Иарá сарá сашья иóуп (дсашьóуп). Иарá Темыр íхьзуп. Ари сарá сашья иáртоуп. Иарá иахá ао́ныка даáит. Тамар и́рласны бáаи ара́хь, áзы сыт! Адгэр аиа́ша мoа дыкәуп. Иацы́ амш бзи́ан.

### თარგმნეთ აფხაზურად:

ის ჩემი ძმავა. მას თემური ჰქვია. ეს ჩემი ძმის ლოგინია. ის წუხელ თავის ლოგინში იწვა. თამარ, მოდი აქ ჩქარა, წყალი მომეცი! მისი (ქ.) სიტყვები მართალია. ეს ისლია.

### ჩასვით სიტყვები წერტილების ნაცვლად:

. . . . сарá дсашьóуп. Ари́ сарá . . . .

### ჩასვით ასოები წერტილების ნაცვლად:

Сарá .кы́та; Уарá .кы́та; Барá .кы́та.

**შეადგინეთ წინადადებები:**

дүүп, ауáда, аклáсс  
 стóит, сара, аҭсшæа  
 акрá, Кьасóу, аҭсыз  
 ларá, абзíа, барá акакán

иарá – იგი (მკ.)	a-íаша – სწორი
a-иарá – წოლა	a-иáша – სიმართლე
íарбан – რა?, რომელი?	a-иáшьа – ძმა
a-иáрта – ლოგინი	íрласны – სწრაფად
иахьá – დღეს	ámæа – გზა
иахá // еихá – უფრო მეტად	акáта – ბადე

**О о**

საშუალო აწეულობის უკანა წარმოების ხმოვანი.

аóбласт – ოლქი	аóрдер – ორდერი
аóрган – ორგანო	уахá – ამაღამ
аóрден – ორდენი	ицó – ვინც მიდის

**თარგმნეთ ქართულად:**

Áа аóбласт ду. Сарá áмпьыл сымоуп. Темыр иаб áибашьра ду аóрден íмоуп. Харá хаоны аóрдер хáмазам. Уахá áмза бзíан илашóит. Дара сасрá ицот, ахáмтакæагь рацæаны ирымоуп.

**თარგმნეთ აფხაზურად:**

აი დიდი რაიონი. მე ბურთს ვხედავ. იგი დიდია, ლამაზია. თემურის მამას დიდი სამამულო ომის ორდენი აქვს. ჩვენ არ გვაქვს ჩვენი სახლის ორდერი. ამაღამ მთვარე ლამაზად ანათებს. ისინი მიდიან და ბევრი საჩუქრები აქვთ.

**დაასრულეთ სიტყვები:**

- сарá изб. . . . .
- уарá иуб. . . . .
- барá уб. . . . .
- иарá иаб. . . . .
- харá иа. . . . .
- шарá ижэб. . . . .
- дарá ир. . . . .

**Ажәаҭҭка** – Аҭсрá уацәшәб уáлагар, иҭны иушьталоит.

**ანდაზა** – „სიკვდილის თუ გემინია, ის გამოგეკიდება“.

**У у**

უკანა წარმოების ზედა აწეულობის ხმოვანი ამავე ნიშნით გადმოიცემა у (w) წყვილზავისმიერი ფონემაც. მამაკაცთა კლასის II პირის ნიშანი. მომდინარეობს **уара** (შენ მკ.) ნაცვალსახელისაგან.

- |                    |   |
|--------------------|---|
| Уарá – შენ (მკ.)   | ауахә́ама – ეკლესია                     |
| ауáда – ოთახი      | ауацьáк – ბუხარი                        |
| уахá – ამაღამ      | ауáл – ვალი                             |
| ауаџы – ადამიანი   | ауáз – 1. ქადაგება; 2. გასაჭირის მოყოლა |
| ауáрба – არწივი    | уажә́ы – ახლა, ამ მომენტში.             |
| ауарџáнць – ტოროლა |   |
| ауардь́н – ურემი   |   |

**თარგმნეთ ქართულად:**

Адәахьы акәа ауеит. Хара зыгы́ы ауацьяк азааигәара хтәоуп. Амца бзиан еикәуп. Хара ҳаҭхарҭхоит. Алакәкәа еибаххәоит. Уаха икаҳцари?

**თარგმნეთ აფხაზურად:**

გარეთ წვიმს. ჩვენ ყველანი ბუხრის წინ (გარშემო) ვსხედვართ. ცეცხლი კარგად ანთია. ჩვენ ვთბებით (თავს ვითბობთ). ერთმანეთს ზრპრებს ვუყვებით. მეტი რა უნდა ვაკეთოთ?

**Ажәаҭҭка** – Ауаџы цәҭҭа хара унаџс.

**ანდაზა** – „ცუდ კაცს ახლოს არ გაეკარო“.

ადჰან – მინდორი, ეზო	ამცა – ცეცხლი
აკჰა – წვიმა	ანზია – კარგი
ხარა – ჩვენ	ამცა ეიკჰცარა – ცეცხლის დანთება
ზეგყნ – ყველა, ყველანაირი	აყყრჷყარა – გათბობა
აზააიგჰარა – ახლოს	ალაკჰ – ზღაპარი

## Ы ы

ნეიტრალური ხმოვანი.

ამпыл – ბურთი	ауалыр – კასრი
áлым – ლომი	аты – ბუ
амхын – ყანა	ахын – თავი
акын – ერთი რომელიღაც	ахын – სახლის სახურავი
амаахыр – მაყვალი	

### თარგმნეთ ქართულად:

- Сарá ампыл сымоуп.
- Уарá ампыл умоума?
- Барá ампыл бымоума?
- Ааи, сарá ампыл сымоуп.

Áа амаахыр. Амаахыр хáауп. Даур амаахыр ифóит. Кáто амаахыр бзíа илбóит

Даур, угыл, амаахыр ыф!

### თარგმნეთ აზნაზურად:

აი მაყვალი. მაყვალი გემრიელია. დაური ჭამს მაყვალს. კატოს უყვარს მაყვალი, დაურ, ადექი, მაყვალი ჭამე!

Утахын – ახლობელი	акрыфара – ჭამა; კვება
ахахарá – სასარგებლო	áфатá – საჭმელი
áфарá – ჭამა	



## გაკვეთილი № 2

### წყვილბაგისმიერი ხშულები

#### Б 6, П 6, П 11

#### Б 6

წყვილბაგისმიერი ხშული, მჟღერი თანხმოვანი.

**П** პირის ქალთა კლასის აღმნიშვნელი პრეფიქსი. მომდინარეობს **бара** (შენ ქ.) ნაცვალსახელისაგან.

მონაწილეობს **Аиба > еиба** საურთიერთო-სათანაო კატეგორიის მაწარმოებელ პრეფიქსში: **Аибабара** – „ურთიერთდანახვა“.

კითხვითი ნაწილაკის თავკიდური ბგერაა: **ба, дарбан** „ვინ?“, **йарбан?** „რა?“

რაოდენობით რიცხვით სახელთა მაწარმოებელი **-ба** სუფიქსის შემადგენლობაშია – **0-ба** „ორი“.

án – მამა	барá – შენ (ქ.)	а́нарт – ესენი	а́наста – ღომი
áна – ტყე	а́нара – დანახვა	а́на – ცოცხალი	áнаа – კლდე

#### თარგმნეთ ქართულად:

Са́ра áна збéит. Áна áната́ пста́уп.  
 А́ри са́ра са́б ио́уп. Ба́ра áнахь бцо́ма?  
 Са́б иахьá а́ус иуéит. Ба́ра ба́б даба́цеи?  
 – А́ри да́рбан?  
 – А́ри са́ра са́б ио́уп.

#### თარგმნეთ აფხაზურად:

1. ეს მამაჩემია. 2. მამაჩემი აქაა. 3. შენ (ქ.) ტყეში მიდიხარ? 4. შენ (ქ.) მამაშენს ხედავ.

#### თარგმნეთ ქართულად:

Áна и́лоуп  
 Са́ра сы́коуп  
 А́ра и́коуп  
 Ба́б ды́нбоит.

Сарá сцóит  
 Барá бцóит  
 Уарá уцóит

- Тамáр барá бцáма?
- Ааи, сарá сцéит.
- Темýр, уарá уцáма?
- Мап, сарá сымцазéит.

აბ – მამა

აბáрт – ისინი

აბýста – ლომი

áбна – ტყე

áбга – მელია

áбхá – კლდე

аýсура – სამსახური

аурá – გაკეთება

áлалара – შესვლა

áкалара – ყოფნა; მომწიფება

áказаара – ყოფნა, არსებობა

## П п

წყვილბაგისმიერი ხშული ყრუ თანხმოვანი.

Апснý – აფხაზეთი

áпсуа – აფხაზი

апсáдгыл – სამშობლო

áпсшá – 1. აფხაზური ენა;

2. მისალმება

апá – ვაჟიშვილი

апхá – ქალიშვილი

апсы – 1. სული; 2. მკვდარი

апáра – ფული

áпара – ხტუნვა

апсабара – ბუნება

апсаáтá – ფრინველი

апáгы – ამაყი

апсшьáра – დასვენება

апсшьáрамш – უქმე დღე

апхá – თბილი

áпшза – ლამაზი

áпсын – გაზაფხული

## თარგმნეთ ქართულად:

Хапсáдгыл апсабáра дáара ипшзóуп. Сандý аонýтá псаáтáкáа иратáаны илы́моуп: акáткáá, акáтáкáа, акýзкáа, ашáишáй, абáс агíртгы. Спáа ашкóл дáлгеит. Сыпхá дыстудéнтуп. Апáра апáратра итáстцеит. Харá

ა́псҭа б́ы́зша хә́оит (иахцоит). Ахә́чы дь́пшоит. Саб а́псҭы́з кра дцэ́нт. Дау́т дп́а́гьоуп. А́апынра а́аит.

**თარგმნეთ აფხაზურად:**

ჩვენი სამშობლოს ბუნება ლამაზია. ბებიაჩემს ჰყავს ბევრი შინაური ფრინველი: ქათმები, ბატები, იხვები, ინდაურები, ასევე სხვა. ჩემმა შვილმა (მკ.) სკოლა დაამთავრა. ჩემი შვილი (ქ.) სტუდენტია. ფული საფულეში ჩავდე. ჩვენ აფხაზურ ენას ვსწავლობთ. ბავშვი ხტუნავს. მამაჩემი სათევზაოდ წავიდა. დავითი ამაცია. გაზაფხული მოვიდა.

**წერტილების ნაცვლად ჩასვით შესაბამისი ასოები:**

сáра . . .пшоит	ларá . . .пшоит
уарá . . .пшоит	харá . . .пшоит
барá . . .пшоит	шәарá . . .пшоит
иарá . . .пшоит	дарá . . .пшоит

**Ажаапка** – Апшá лауцáр, афýртын аауры́хәеит.

**ანდაზა** – „ქარს დათეს, ქარიშხალს მიიღებ“.

дáара – ძალიან	акәáта – იხვი
ао́нытә – შინაური	апшá – ქარი
áрацәа – ბევრი	áлацара – დათესვა
áмазаара – ქონა, ყოლა	афýртын – ქარიშხალი
акә́ты – ქათამი	архрá – მოხვეჭა

**П п**

მკვეთრი ხშული თანხმოვანი.

апá – წვრილი	апкá – წერო
áпап – მღვდელი	апатарá – ბოდვა
апарпáр – თუთიყუში	апáшә – ქათქათა
апарпáрәы – ლაქლაქა	áпкара – 1. ცემა; 2. ჭრა
апáсма – ჭვავის პური	апырпы́л – წიწაკა
áпату – პატივი	апырпы́лбагәа – ბულგარული წიწაკა
апатка́леира – ტიტინი	апшьарá – 1. კურთხევა, 2. პირჯვრის გადაწერა

**თარგმნეთ ქართულად:**

Ауахәамаҭы апап дызбәит. Уи пату ду йкәстоит. Сахәшьа апасма ча бзиа илбәит. Сгәыла апарпәр имоуп. Ахәычы ашәура ймоуп, дпатәит. Фатма дпәткәләиуеит, илбаләк лхәәит. Уи асаби дпәшәза лнапы дакын. Сашәа апырпылца бзиа ибәит. Мадина лзәра поуп. Апкә пьыруеит.

**თარგმნეთ ავხაზურად:**

ეკლესიაში მღვდელი შემხვდა. მე მას პატივს ვცემ. ჩემს დას ჭვავის პური უყვარს. ჩემს მეზობელს თუთიყუში ჰყავს. ბავშვს სიცხე აქვს და ბოდავს. ფატიმა ლაქლაქებს, რაც ენაზე მოადგება, ყველაფერს ამბობს. მას ხელში ქათქათა ჩვილი ეკავა. ჩემს ძმას მწარე წიწკა უყვარს. მადინას ვიწრო წელი აქვს. წერო დაფრინავს.

**ჩასვით ასოები წერტილების ნაცვლად:**

ауахәама . . . апап. . . . збәит. Ахәычы ашәура. . . моуп . . . патәит. Мадина . . . зәра поуп.

**Ажәапкә** – Акәбры хәчуп, аха ашьа ажәеит.

**ანდაზა** – „კოლო პატარაა, მაგრამ სისხლს წოვს“.

ауахәама – ეკლესია

аду – დიდი

агәыла – მეზობელი

акра – ქერა

азәра – წელი

акәбры – კოლო

ашьа – სისხლი

ауащы – ადამიანი

агылара – დგომა

атынха – ნათესაობა

атла – ხე

ахәычы – პატარა

## გაკვეთილი №3

### ენაკბილისმიერი ხმულები

Д д, Т т, Т т

Д д

სადა ენაკბილისმიერი მჟღერი თანხმოვანი.

ადამიანის კლას-კატეგორიის მესამე პირის პრეფიქსი, რომელიც აღნიშნავს გარდაუვალი ზმნის სუბიექტს, გარდამავალი ორპირიანი და სამპირიანი ზმნის პირდაპირ ობიექტს; უქონლობის სუფიქსის შემადგენლობაშია: -**да**; **ҟыда** „უცხენოდ“.

ада – ძარღვი	адаҟь – ბაყაყი	адац – ფესვი
ады – დიდი	дара – ისინი	адыҟь – ადგილი, მიწა

**თარგმნეთ ქართულად:**

Ацла адац амоуп. Адаҟь азы изааҟалеит. Дара ацла ду рбейт. Санду лдақәа лыҟьуейт.

**თარგმნეთ აფხაზურად:**

ხეს ფესვი აქვს. ბაყაყი ხეზე ზის. იგი დიდია, მათ ბაყაყი დაინახეს. ჩემს ბებიას ძარღვები სტკივა.

**თარგმნეთ ქართულად:**

- Изейҟьшроузеи адаҟь?
- Адаҟь иацәоуп.
- Ацла адац амоума?
- Ааи, ацла адац амоуп.
- Мап, адаҟь адацқәа, амазам, уи адақәа амоуп.

**Ажәаҟка** – Ацла адацла игылоуп, аааҟь – тынхала.

**ანდაზა** – „ხე ფესვებით დგას, კაცი კაცით ძლიერია“.

**თარგმნეთ ქართულად:**

Адаҟьы ашьа йкоуп. Ашьа каҟьшьуп. Адаахьы ақәа ауейт. Идыдуейт. Имацәысуейт.

– Ари дызúстада?  
 Ари сарá сан лóуп.  
 – Ари дызúстада?  
 Ари сарá сѡыза иоúп.

– Барá áдыд-мацѡыс бацѡшѡáма?  
 Áаи, сарá áдыд-мацѡыс сацѡшѡéит.

### შეადგინეთ წინადადებები:

адуней, áду, áдгыл, адаú, дарá.

адá – ძარღვი	азы – წყალი
адú – დიდი	азáапалара – წყალში ჩავარდნა
áдагъ – ბაყაყი	дызúстада? – ვინ არის?
адац – ფესვი	áдыд-мацѡыс – ჭექა-ქუხილი
áдгыл – ადგილი, მიწა, ქვეყანა	адуней – ქვეყანა
áцла – ხე	дарá – ისინი

### Т т

ენაკბილისმიერი ხშული, **та** „შიგ“ ფუძე-წინდებულის შემადგენლობა-შია: **итоу** „რაც შიგ აქვს“.

ауантá – უთო	атырас – გვიმრა
ахтырпá – ყაბალახი	атáк – პასუხი
áпта – ღრუბელი	исыт – მომეცი!
атуán – ჭერი	атáра – მიცემა
атацѡы – ცარიელი	ильт – მიეცი (ქ.)!

### თარგმნეთ ქართულად:

Кáма ауантá лымоуп. Ларá дуантóит. Темýр ахтырпá ихóуп.  
 Сарá ахтырпá схóуп.  
 – Даúр ахтырпá ухóума?  
 – Áаи, сарá ахтырпá схóуп.

Áḡḡḡḡ ḡḡḡḡ ḡḡḡḡḡ. ḡḡḡḡ ḡḡḡḡḡ, ḡḡḡḡḡḡ.  
 – ḡḡḡḡḡ, ḡḡḡḡ ḡḡḡḡḡ!

**თარგმნეთ აფხაზურად:**

თემურმა ზუ დაინახა. მას ატამი აქვს. მას უთო აქვს. ისინი ატამს ჭამენ.

– მომეცი ატამი!

**ჩასვით სიტყვები წერტილების ნაცვლად:**

Ḳáḡḡ . . . ḡḡḡḡḡ. Ḳḡḡḡ . . . ḡḡḡḡḡ. Ḳḡḡḡ . . . ḡḡḡḡḡ.

**ჩასვით ასოები წერტილების ნაცვლად:**

Ḳáḡḡ ḡḡḡḡḡ . . ḡḡḡḡ! Ḳḡḡḡ ḡḡḡḡḡ . . ḡḡḡḡ! Ḳḡḡḡ ḡḡḡḡḡ . . ḡḡḡḡ! . . ḡḡḡḡ ḡḡḡḡḡ!  
 . . ḡḡḡḡ ḡḡḡḡḡ!

**შეადგინეთ წინადადებები:**

ḡḡḡḡḡḡ, ḡḡḡḡ, ḡḡḡḡḡḡ.  
 ḡḡḡḡḡḡ, Ḳáḡḡ, ḡḡḡḡḡḡ.  
 ḡḡḡḡḡḡ, ḡḡḡḡ, ḡḡḡḡḡḡ.  
 ḡḡḡḡḡḡ, ḡḡḡḡ, ḡḡḡḡḡḡ.

**Ажәфҭка** – Ḳḡḡḡḡḡ ḡḡḡḡḡḡ, ḡḡḡḡḡḡ ḡḡḡḡḡḡ.

**ანდაზა** – „როცა ჯიბე ცარიელია, ცოტა მეგობარი გყავს“.

áḡḡ – დიახ  
 ḡḡḡḡ – ატამი  
 ḡḡḡḡḡḡ – ქუდი  
 ḡḡḡḡḡḡ – დახურვა  
 ḡḡḡḡḡ – ნაბადი  
 ḡḡḡḡḡḡ – მაცვალი

ḡḡḡḡḡḡ – დაუთოვება  
 áḡḡḡḡ – ჭამა  
 ḡḡḡḡḡḡ – ჯიბე  
 ḡḡḡḡḡ – მეგობარი  
 ḡḡḡḡ – ცოტა

**Т т**

ენაკბილისმიერი, მკვეთრი ხშული თანხმოვანი.

атáта – რბილი	атапáнча – დამბაჩა
ататахара – დარბილება	аткáа – ტყვე
атарá – ამოღება (სითხე)	аткáн – ტყლაპი
артрá – გაღება	аталнóшь – თამადა
áтлара – გარღვევა	атýша – უფსკრული, ხრამი
атý – ბუ	áатра – გახსნა, გაღება

**თარგმნეთ ქართულად:**

Тамар атамá бзúа илнóит. Сарá атамá сфóит, уи татоуп. Ашэ áарты!  
Тоти атý ибéит. Ýи áтцла íкəтəан. Сарá саб атапáнча ýмоуп. Асмáт быцкýн  
тлéит. Атыша шэáртоуп.

**თარგმნეთ აფხაზურად:**

თამარს ატამი უყვარს. მე ვჭამ ატამს, ის რბილია. გააღე კარი!  
ტოტიმ ბუ დაინახა. ბუ იჯდა ხეზე. მამაჩემს დამბაჩა აქვს. ასმათ, შენი  
კაბა გაირღვა. უფსკრული საშიშია.

**ჩასვით სიტყვები წერტილების ნაცვლად:**

Атамá . . . . Атыша . . . . Атапáнча . . . . . имоуп.

---

ýи – ის	áтцла – ხე
ашэ – კარი	íкəтəара – დაჯდომა
ашэ – ყველი	ацкýн – კაბა
анрá – დანახვა	ашэáрта – საშიში



## გაკვეთილი №4

### ლაბიალიზებული ხშულები

#### Дә да, Ғә тә, Ғә тә

##### Дә да

ლაბიალიზებული ენაკბილისმიერი მჟღერი თანხმოვანი.  
შედის ლოკალური პრევერბის შემედგენლობაში: **адәы** „გართ“.

адәын – მინდორი	адәынґа – ტურა	ардәына – შაშვი
адәыкрын – ია	адәынҕна – მატარებელი	ақәардә – სკამი

##### თარგმნეთ ქართულად:

Адәын адәыкрынала итәуп. Ўи даара иґшзәуп. Адәынґа әбна иәлоуп.  
Ўи даара игызмәлуп. Сарә ақәардә сымәоуп. Ардәына тысуп. Сарә адәынҕна  
збәит.

##### თარგმნეთ აფხაზურად:

ეზოში იაა (შიგ არის). იგი ძალიან ლამაზია. ტურა ტყეშია, იგი  
ძალიან ეშმაკია. მე სკამი მაქვს. შაშვი ჩიტია, იგი დაფრინავს. მე  
მატარებელი დავინახე.

##### თარგმნეთ ქართულად:

- Ғамар, бара адәыкрын ббәма?
- Ааи сарә адәыкрын збәит.
- Изеиґшрәузеи адәыкрын?
- Адәыкрын даара иґшзәуп.

##### თარგმნეთ ქართულად:

Адәынҕна абжын гәит. Сарә адәынҕна абжын сахәит. Адәынҕна авокзәл  
иәадгылт. Ўи Ғәмыр даәнагеит. Ғәмыр сарә сәыза иәуп.

##### თარგმნეთ აფხაზურად:

მატარებელი სოხუმში ჩამოვიდა. თემურმა მატარებელი დაინახა.  
მატარებელმა მოაყვირა (ხმა გამოიღო) თამარი მატარებელში იყო.

**ჩასვით სიტყვები წერტილების ნაცვლად:**

Адэыңба ... гэит. Темыр ... даанагеит.  
 Ардэына ... сахаит.

**უპასუხეთ კითხვებს:**

Барá адэыкрын ббама?  
 Уарá ардэына убáма?  
 Изеипшрúзеи ардэына?

---

адэы – ეზო; მინდორი	акэардэ – სკამი
адэыкрын – ია	абжыы – ხმა
адэыңга – ტურა	ахарá – გაგონება
адэыңба – მატარებელი	абжыы сахаит – ხმა გავიგე
ардэына – შაშვი	изеипшрúзеи? – როგორია?

**Тә тә**

ლაბიალური ენაკბილისმიერი ხშული, ყრუ თანხმოვანი.

арытәа – ბრტყელტუჩა      áматәа – ტანსაცმელი; ნივთი  
 атәá – თივა; ცაცხვი      атәákәа – ზვინი

**თარგმნეთ ქართულად:**

Темыр иандуи иабдуи рыкны дýкан. Темыр иабду атәáрытахы дигéит. Уáка атәá дырхит. Атәá еизыргеит. Атәákәа еикәырцеит. Темыр иабду дýцхраауан.

**თარგმნეთ აფხაზურად:**

თემური ბეზიასთნ და ბაბუასთნ იყო. თემური ბაბუას თივის ალებაში ეხმარებოდა. იქ თივას ჭრიდნენ. თივისგან ზვინებს დგამენ.

**ჩასვით სიტყვები წერტილების ნაცვლად:**

Саб . . . еизынгеит. Аоны . . . хáмоуп. Сарá . . . áасхæеит. Áзын áрахә . . . рфóит.

**თარგმნეთ ქართულად:**

Сарá аҭэáртáхьы сцéит. Саб аҭэá ирхýт. Сарá сýцхрáауан.

**თარგმნეთ აფხაზურად:**

მე მაქვს გაზი (ხელსაწყო). კამას აქვს გაზი.  
 – თქვენ იყიდეთ ტანისამოსი?  
 – დიახ, ჩვენ ვიყიდეთ ტანისამოსი.

**ჩასვით ასოები წერტილების ნაცვლად:**

сарá аҭэá . .ирхэóит	харá аҭэá . .рхэéит.
уарá аҭэá . .рхит	шэарá аҭэá . .рхэит.
иарá аҭэá . .рхэeit	дарá аҭэá . .рхэит.

**შეადგინეთ წინადადებები:**

ирхýт, аҭэá, сáбдý.  
 еизýзгоит, аҭэá, сарá.  
 еикэицóит, сашýá, аҭэá.  
 хáбдý, сáреи, хáицхрáауан, сашýéи.  
 иахýá, Кýасоý, урхуáма аҭэá.

**Ажәаҭҭка** – Тәи млашыи изеибадыруам.

**ანდაზა** – „მამღარს მშიერიც მამღარი ეგონაო“.

агарá – წაღება	áрахэ – საქონელი
áкалара – 1. ყოფნა; 2. მომწიფება	áзын – ზამთარი
áизгара – აკრეფა, შეგროვება	иахýá – დღეს
áикэцара – დაწყობა	ахрá – 1. მოცელება; 2. ლესვა
ацхýраара – დახმარება	

**Тә тә**

ლაზიალური ენაკბილისმიერი ხშული, მკვეთრი თანხმოვანი; დანიშულების სუფიქსის შემადგენლობაშია: **сара стәы** „ჩემი კუთვნილი“.

атәыџа – რქა	атәыл – ქვეყანა
атәарá – დაჯდომა	Аҭснытәла – აფხაზეთი
атәы́м – უცხო	аҭсаатә, аҭсаа – ფრინველი

**თარგმნეთ ქართულად:**

Акэты, акэата, акыз, ардэына-пэсаатэуп. Ёбга, ажэа, акэасэб, алым-бнатэ пэстэқоуп.

Ацгэы, ала, ажэ, аеы, ацэ-аонатэ пэстэқоуп.

**თარგმნეთ აფხაზურად:**

ქათამი, იხვი, ბატი, შაშვი – ფრინველებია. ფრინველები დაფრინავენ.

მგელი, კატა, ძაღლი ცხოველებია. მელა, კურდღელი, შველი გარეული (ტყის) ცხოველებია.

კატა, ძაღლი, ძროხა, ხარი შინაური (სახლის) ცხოველებია.

**აუღლეთ ზმნები:**

сарá . .тэоуп

иарá . .тэоуп

уарá . .тэоуп

харá . .тэоуп

барá . .тэоуп

шэарá . .тэоуп

иарá . .тэоуп

дарá . .тэоуп

ларá . .тэоуп

Апэсны +(а)тэыла = Апэсынтэыла

Қарт+ (а)тыла = Қырттэыла

Аурыс +(а)тэыла = Урстэыла

**თარგმნეთ ქართულად:**

– Бага́л, уарá уабáнхой?

– Сарá Ёкэа сынхóит.

– Утэыла иахьзúзеи?

– Сарá стэыла Апэсынтэыла áхьзуп.

**უპასუხეთ კითხვებს:**

Ёжэ атэыла дуума?

Ёбга аонáтэ пэстэúма?

Ацгэы бнáтэ пэстэúма?

Адэыкрын пэшзóума?

Адэыбба áаама?

Ардэына абжэы бахáама?

**Ажәаҭҭа** – Утәаанза, уахьтәо атыҭҭ гәат.

**ანდაზა** – „სანამ დაჯდები, დახედე, სად ჯდები“.

акәты́ – ქათამი

акә́ата – იხვი

акы́з – ბატი

а́рдәына – შაშვი

аҭы́рра – ფრენა

а́нҭа – მელა

ацҭә́н – კატა

ала́ – ძაღლი

ажә – ძროხა

ацә – ხარი

атәарá – ჯდომა

ааны – სახლი

Аҭсынтәыла – აფხაზეთი

Урыстәыла – რუსეთი

Қыртәыла – საქართველო

а́нҭа – ტყე

аҭы́ – ცხენი

а́мра – მზე

акәасáн – არჩვი

## გაკვეთილი №5

## უკანაენისმიერი ხშულები

## Г г, К к, К к

## Г г

უკანაენისმიერი ხშული, მჟღერი თანხმოვანი.

შედის მოქმედების იარაღის აღმნიშვნელ -გა სუფიქსში: ажы-га – ბარი.

ága – ზღვის ნაპირი

áгызмал – ეშმაკი

агарá – წაყვანა, წაღება

агыгшэыг – მხეცი

агáра – აკვანი

áгага – ჩრდილი

## თარგმნეთ ქართულად:

Апсны́ агеи ашьхеи п̄шзоуп. Сарá с̄ызалахь ашәкы́ (и)згоит. Ахәчы дгáроуп. Абгахәчы́ гызмáлыуп. Тамáр лы́гага дацәшә́бит.

## თარგმნეთ აფხაზურად:

ზღვა და მთა ლამაზია აფხაზეთში. მე ჩემი მეგობრისათვის წიგნი მიმაქვს. ბავშვი აკვანში წევს. მელა ეშმაკია. ლომი მხეცია. თამარს თავისი ჩრდილის ეშინია.

## ჩასვით სიტყვები:

Абгахәчы́и а́лыми. . . .

Тамáр дацәшә́бит. . . . Ахәчы. . . . гароуп.

Сарá изгóит. . .

Уарá иугóит. . .

Барá ибгóит. . .

Ларá илгóит. . .

Иарá ии́гóит. . .

– Тамáр, барá ашәкә́ы бгáма?

– А́и сарá ашәкә́ы згéит.

**უპასუხეთ კითხვებს:**

- Темыр, уарá ампыл угáма?
- Мап сарá ампыл сымгазéит.

áга – ზღვის ნაპირი	ашәкәы́ – წიგნი
агáра – აკვანა	áшьха – მთა
агарá – წყევანა, წაღება	ашәарá – შიში; შეშინება
агыгшәы́г – მხეცი	абгахәычы́ – მელა
áгызмал – ეშმაკი	áлым – ლომი
áгага – ჩრდილი	ады́рра – ცოდნა

**Қ қ**

უკანაენისმიერი ხშული თანხმოვანი.

акәардә // аскáм – სკამი	Қáрбеи – მკ.-ის საკუთარი სახელი
ақалпáд – წინდა	ашкáң – კარადა
акы́та – სოფელი	ақáшь – ფაფა

**თარგმნეთ ქართულად:**

Ары́ аскáм áуп. ýи дýуп. Ақалпáд ипъхóуп. Сарá скы́та ипъшзóуп, идýуп. Қáрбеи ашкóл дтóуп. Ýи ацарá ибзи́аны итцóит. Ауáдафы ашькáң гы́лоуп. Кáма ақáшь бзи́а илбóит. Акәáц астóл икәгы́лоуп.

**თარგმნეთ აფხაზურად:**

ეს სკამია. იგი დიდიია. წინდა თბილია. ჩემი სოფელი ლამაზია, დიდიია. ქარბეი სკოლაში დადის. ის სწავლობს. ოთახში კარადა დგას. კამას ფაფა უყვარს. მაგიდაზე ხორცი ძევს.

**ჩასვით ასოები წერტილების ნაცვლად.**


Сарá . .кы́та. . Уарá . .кы́та. . Кáма . .кы́та. . Дарá . .кы́та.

**შეადგინეთ წინადადებები:**

дýуп, ауáда, аклáсс;

არí, лкы́та, Кáма, áуп;  
арá, ашкóл, дарá, итóуп;  
уóма, Қáрбеи, арí, уарá.

### შეადგინეთ სიტყვები:



აკáардә // аскáм – სკამი  
აკалы́ád – წინდა  
აკы́та – სოფელი  
ашы́кáт – კარადა  
აკáшь – ფაფა

აკááц – ხორცი  
აკáруа – ქარვა  
ауáда – ოთახი  
აҢá – მტერი  
аи́ңь – უკეთესი

### К к

უკანაენისმიერი ხშული, მკვეთრი თანხმოვანი, განუსაზღვრელობის სუფიქსი: **акы́** – ცხენი, **кык** – რომელიღაც ცხენი. მომდინარეობს **акы** „ერთი“ რიცხვითი სახელისაგან.

აკакáн – კაკალი  
áкáтá – ბადე  
აკалáт – კალათი  
აკлáсс – კლასი  
აკлáсс уáда – საკლასო ოთახი  
აკáмбáшь – კამეზი

აკрá – ჭერა/დაჭერა  
აკáхара – წაქცევა  
აკы́лсра – გაძრომა, შეძვრომა  
ákшара – რქენა, რჩოლა  
икшóит – ირქინება

### თარგმნეთ ქართულად:

Къасóу акáтала аҗсыз икáэит. Сашы́á крýифóит. У́и акакáнчаҗа бзиá ибóит. Сан акаҳу́а лжәуэит. Сандý акасы́ лхóуп. Сарá ашóура сакуéит. Сандý áцэá дакáэит. Акры́фара áамта ááит. Ачқэ́ын дкáхаит. Асмáт áцэца сыркы́! Исыркы́ áкалам!



**უპასუხეთ კითხვებს:**

- Асйда барá амла бакéама?
- Мап, сарá амла сакзóм, сарá азна сакéит.
- Саид, уарá ахьта уакéама?
- Áи, сарá ахьта сакéит.

**თარგმნეთ აფხაზურად:**

შენ გშია. მე მშია. მე მწყურია. – გცივა? – კი, მე მცივა. – არა, მე არ მცივა, მე მცხელა.

**Ажаапкa** – Áнзамыкé инапáла амат ркéит.

**ანდაზa** – „სულელის ხელით გველს იჭერენ“.

---

ачкь́п – ჩანგალი	áцáа – ძილი
апхь́з – თევზი	ацáцá – ჭიქა
áжáра – დაღვეა	áнзамыкé – სულელი
акакáнчапá – ნიგვზიანი ფხალი	анап́ь – ხელი
áхьта – სიცივე	áмат – გველი
ашóура – სიცხე	

## გაკვეთილი №6

## პალატალური ხშულები

## ГЬ ГЬ, ҚЬ ҚЬ, КЬ КЬ

## ГЬ ГЬ

პალატალიზებული უკანაენისმიერი ხშული, მჟღერი თანხმოვანი. **ГЬЫ** „ც“ ნაწილაკი: **анап-ГЬЫ** „ხელიც“.

агъама – გემო

а́дгъыл – მიწა

а́гъежь – ბორბალი

амага́на – ნამგალი

амгáл – გამომცხვარი კვერი

агъил – ვარდი

## თარგმნეთ ქართულად:

Амгáл агъама хáауп. Агъíл пшзóуп. Тамар агъíл лы́моуп. Темы́р Тамáр агъíл илы́итоит. Агъíл капшъýп.

– Изеипшрóузеи Тамáр лгъíлкэа?

Тамар лгъíлкэа капшъýп.

## ჩასვით ასოები წერტილების ნაცვლად:

Са́ра амгáл . .ымоуп

уа́ра амгáл . .моуп

ба́ра амгáл . .моуп

иа́ра амгáл . .моуп

ла́ра амгáл . .моуп

ха́ра амгáл . .амоуп

шэа́ра амгáл . .ымоуп

да́ра амгáл . .ымоуп

Сан амгáл лзит. Уа́ра ауáргъала ýмоуп. Ла́ра ауáргъала бзíа илбóит. Ха́ра ауáргъала хáргъалоит.

áдгыл – ადგილი, მიწა	áкапшы – წითელი
áгыжь – მრგვალი	азра – შეწვა
áхаа – გემრიელი, ტკბილი	ауáргъала – საქანელა
áтара – მიცემა	абзйáбара – სიყვარული
áпшза – ლამაზი	áргъалара – ქანაობა

## Қь кь

პალატალიზებული უკანაენისმიერი ხშული ყრუ, ფშვინვიერი თანხმოვანი.

акъáла – კარავი	акъáád – ქალალდი
акъырмыт – აგური	ахақьым – ექიმი
Қаáзым – მკ.-ის საკუთარი სახელი	

## თარგმნეთ ქართულად:

Ари акъáла áуп. Уи áбна иáлагылоуп. Аонкáа акъырмыт áла идыргылоит. Шъазйна дхақьым бзиоуп. Қаáзым Очамчыра дынхóит. Акъáád цкъóуп, ибзиóуп.

## თარგმნეთ აფხაზურად:

ეს კარავია. იგი ტყეში დგას. სახლებს აგურისგან აკეთებენ. ქალაქში აგურის სახლები ბევრია. ქაზიმი ოჩამჩირეში ცხოვრობს. ქალალდი სუფთაა, კარგია.

## ჩასვით ასოები წერტილების ნაცვლად:

Иарá . . ынхóит Гáгра. Ларá . . ынхóит Очамчыра. . Иарá . . ынхóит Уарча.  
Иарá . . дабанхои? Лара дабанхои?

## უპასუხეთ კითხვებს:

- Гáгра кытоума?
- Мап, Гáгра қалáқьуп.
- Ешыра қалáқьума?
- Мап, Ешыра кытоуп.

**შეადგინეთ წინადადებები:**

დაára, áკалакъ, Очамчыра, ипшзóуп.  
 сарá, сабдúи, арá, инхóит, сандúи.  
 дынхóит, сарá, Тамшь, сашья.  
 бынхóма, барá, Очамчыра?

**Ажәаҭҭа** – Ақбаад зеггы алазоит.

**ანდაზა** – „ქალაღდი ყველაფერს უძღლებს“.

акы́а – პატოსანი, ალალი	ашкәкәа – თეთრი
акы́ала – კარავი	ауааы́ – ადამიანი
áკалакъ – ქალაქი	áцкыа – 1. სუფთა; 2. წმინდანი;
акы́аад – ქალაღდი	Ацкыа Гьарыгь – წმინდა
аргы́лара – აშენება	გიორგი
агы́лара – ადგომა	кы́ырса – შობა

**Кь кь**

პალატალიზებული უკანაენისმიენრი ხშული, ყრუ, მკვეთრი თანხმოვანი.

акы́нда – კიბე	акы́акыа – მაგარი
Кыасóу – მკ.-ის საკუთარი სახელი	икы́акыоуп – მაგარია

**თარგმნეთ ქართულად:**

Ары́ Кыасóу иóуп. Кыасóу Цлóу дынхóит. Ары́ Кыасóу иашья́ иóуп.  
 Ары́ Кыасóу иахәшьá лоуп. Кыасóу иашья́ Даур́ ихьзуп. Кыасóу иахәшьá  
 Ка́ма лыхьзуп. Дарá зеггы́ Цлóу инхóит. Цлóу кы́та дýуп. Да́ара ипшзóуп.

**თარგმნეთ აფხაზურად:**

ეს კიაზოა. კიაზო ჭლოუში ცხოვრობს. კიაზოს ძმას დაური ჰქვია,  
 კიაზოს დას კამა ჰქვია. ისინი ჭლოუში ცხოვრობენ. ჭლოუ დიდი და  
 ლამაზი სოფელია.

**თარგმნეთ ქართულად:**

- Уарá уабáнхои?
- Сарá Ешы́ра сынхóит.
- Ешы́ра кы́тоума?
- А́аи, Ешы́ра кы́тоуп.

**დაასრულეთ სიტყვები:**

- Ешы́ра кыт . . .
- А́аи Ешы́ра кыт . . .
- Гáгра Кыт . . .
- Мап, Гáгра кыт . . . уи қал. . .

áиашья – ძმა  
 áиахэшьа – და  
 áхьыз – სახელი

дáара – ძალიან  
 áпшзара – სილამაზე  
 áқалакь – ქალაქი

## გაკვეთილი №7

## ლაბიალიზებული უკანაენისმიერები

## Гә гә, Кә кә, Кә кә

## Гә гә

ლაბიალიზებული უკანაენისმიერი მჟღერი თანხმოვანი. **გә** ლოკალური პრევერები, მომდინარეობს **აგәы** „გული“ ლექსემისაგან.

агәы – გული	агәыла – მეზობელი
агәара – ღობე	агәабән – ლეიბი
агәыр – ნემსი	агәაბзиара – ჯანმრთელობა

## თარგმნეთ ქართულად:

Сарá сгәыла иáшта пьшзóуп, идýуп. Ýи агәára áкәыршоуп. Барá агәыр бýмоума? Агәыр парýп.

– Гәýнда бгәы бýхьуама?

Мап, сгәы сýхьзом.

Бабду игәабзиара шпáкóу?

Сáбду игәабзиара цәгьам.

## თარგმნეთ აფხაზურად:

მისი მეზობლის ეზო ლამაზია, დიდია. მას ღობე აქვს შემოვლებული. შენ ნემსი გაქვს? ნემსი წვეტიანია.

– გუნდა, გული გტკივა?

– არა, გული არ მტკივა.

– ბაბუაშენის ჯანმრთელობა როგორ არის?

– ბაბუაჩემის ჯანმრთელობა არც ისე ცუდია.

## თარგმნეთ ქართულად:

Сарá сыцгәы Писмáсо áхьзуп. Писмáсо дáара ипьшзóуп. Иарá ахш бзиá иабóит.

– Барá ацгәы бýмоума?

Мап сарá ацгәы сýмазам.

Гәýнда лгәыла. Иарá игәára. Сарá сыцгәы.

**ჩასვით ასოები წერტილების ნაცვლად:**

Сарá . . . гəы	Ларá . . . гəы
Уарá . . . гəы	Ҳарá . . . гəы
Барá . . . гəы	Шəарá . . . гəы
Иарá . . . гəы	Дарá . . . гəы

**ჩასვით სიტყვები წერტილების ნაცვლად:**

Сандý . . . . илзахит . . . . ацгəы лымоуп.  
 Ўи дáара ипшзóуп. Сандý . . . . бзиа илбóит.

**შეადგინეთ წინადადებები:**

Агəыла, áшта, дýуп, ипшзóуп.  
 Ацгəы, сарá, шкəакəоуп.  
 Агəабзиáара, сан..., цəгьóуп.

---

агəы – გული	áмазаара – ეონა, ყოლა
агəыр – ნემსი	ахьáа – ტკივილი
агəанán – ლეიბი	ацгəы – კატა
агəáра – ღობე	áхьыз – სახელი
агəыла – მეზობელი	иáхьызуеи? – რა ჰქვია?
агəабзиáара – ჯანმრთელობა	ахш – რძე
áшта – ეზო	ибзиóуп – კარგია
адý – დიდი	ицəгьóуп – ცუდია
агəáра áкəыршоуп – შემოღობილია	ицəгəám – არა უშავს

**Қа қа**

უკანაენისმიერი ლაბიალიზებული ხშული. **Қа** ლოკალური პრევერბი. გამოხატავს „ზედ“ მყოფობას, შედის ნივთთა კატეგორიის სუფიქსის **қаа**-ს შემადგენლობაში: **аққаа** „ცხენები“.

ақәән – ქვაბი	ақәңара – ზედ ახტომა
ақәасән – შველი	ақәла – თანატოლი
ақәа – წვიმა	аққәшаара – შეხვედრა
ақәғылара – ზედ დადგომა	ачуән – თუჯის ქვაბი

**თარგმნეთ ქართულად:**

Ақәа ауеит. Ачуән архныңшынағы икнәхауп. Ақәасән дәара иңшзәуп. Ёсма сарә сықәала ләуп, хара хаикәлацәәуп. Саб аоны ахын дықәлеит. Урт иахәа иеикшәоит. Уи қәрала деихабуп.

**თარგმნეთ აფხაზურად:**

წვიმა მოდის. ქვაბი კავზე კიდია. არჩვი ძალიან ლამაზია. ის ტყეშია. არჩვი მთაზე დგას. კადირი დაობს.

**უპასუხეთ კითხვებს.**

Ёсма бықәла ләума?  
Дабәқәлеи баб?  
Ақәа (и)ауама?  
Ачуән дуума?

**Ажәаңка** – Ақәңара ахыыкам аңстазаара ңхәака ицом.

**ანდაზა** – „სადაც უთანხმოება არ არის, იქ არც განვითარებაა“ .

Аоны – სახლი	иахәа – დღეს
ахын – სახურავი	ýи – ის
ýрт – ისინი	аиҳаны – უფროსი
адý – დიდი	атәыаа – რქა
акамнәшь – კამეჩი	ахжәара – მტვრევა
ақәңара – ბრძოლა, ზედ ახტომა	ақәла – თანატოლი
ацә – ხარი	ақәлара – ასვლა რაღაცაზე
ақәасән – შველი	



## Кә кә

უკანაენისმიერი ლაბიალიზებული ხშული თანხმოვანი.

### თარგმნეთ ქართულად:

Ҙамар акәтыи акәтеи лымоуп. Ҙемыр акәац бзиа ибóит. Кáма акәыкәу лбéит.

- Уарá акәыгы́ ýмоума?
- Ааи сарá акәты́ сымоуп.
- Барá акәáта бýмоума?
- Мап, сарá акәáта сымазам.
- Сарá ашә асыркәéит.

### თარგმნეთ აფხაზურად:

თამარს ქათამი და იხვი ჰყავს. თემურს ხორცი უყვარს. კამამ გუგული დაინახა.

- შენ ქათამი გყავს?
- დიახ, მე ქათამი მყავს.
- შენ იხვი გყავს?
- არა, მე იხვი არ მყავს.

### ჩასვით ასოები წერტილების ნაცვლად:

Иарá акәты́ . .моуп. Ларá акәáта . .ýмоуп. Барá акәы́кәу . .бáма? Барá акәáц . .фáма?

### თარგმნეთ აფხაზურად:

დედაჩემს ხორცი უყვარს. ბებიაშენმა გუგული დაინახა. მათ ქათამი და იხვი ჰყავთ.

### შეუხამეთ ერთმანეთს სიტყვები:

изсóит	акәáта
ипыруéит	акәты́
	аҘсы́з
	акәы́кәу
	акәы́нры

**უპასუხეთ კითხვებს:**

Акэ́нкэу пьыру́ама?

Акэ́нры дúума?

Кáма акэ́тйи акэ́тйи лы́моума?

Акэ́нры пьыру́ама?

акэ́аа зысу́ама?

**Ажәаҟә** – Акәтаҟь пҟьыр, иузейбгәтәуам.

**ანდაზა** – „კვერცხი თუ გატყდა, მისი გამთელეზა შეუძლებელია“.

акэ́тй – ქათამი

акэ́აа – იხვი

акәады́р – უნაგირი

акэ́нкэу – გუგული

акэ́აц – ხორცი

акэ́нры – კოლო

акәәб́на – სოკო

акә́ара – ნაკადული

аркы́а – დაკეტვა

ашә – კარი; ყველი

## გაკვეთილი №8

### ფარინგალური ხმულები

#### К к, Ка ка, Кь кь

#### К к

ფარინგალური ხმული თანხმოვანი.

а́кыз – ბატი

а́кán – გოგრა

а́кáма – ხანჯალი

а́ката – ახალგაზრდა

а́каркын – ყელი

а́казшьá – ხასიათი

а́калара – ყოფნა, დამწიფება

а́кацара – კეთება

#### თარგმნეთ ქართულად:

Темы́ри Тама́ри а́кызкэа ры́моуп. У́рт да́ара ип̄шзóуп. А́кызкэа азы́ бзиа́ ирбóит. Аласб́а а́кыркын а́баџ кы́лахеит. А́кán калеит. У́и х́аауп. Санду́ а́кán бзиа́ илбóит.

- Тама́р, бара́ а́кызкэа бы́мазáми?
- Мап, сара́ а́кызкэа сы́мазам.
- Темы́р, уанду а́кызкэа лы́мазами?
- Ааи, санду́ а́кызкэа лы́моуп.

#### თარგმნეთ აფხაზურად:

თემურს და თამარს ბატები ჰყავთ. ისინი ძალიან ლამაზები არიან. ბატებს წყალი უყვართ. ლეკვს ყელში ძვალი გაეჩხირა. გოგრა დამწიფდა. ის ტკბილია. ბებიაჩემს გოგრა უყვარს.

- თამარ, ბატები გყავს?
- არა, მე ბატები არ მყავს.
- თემურ, ბებიაშენს ბატები ჰყავს?
- დიახ, ბებიაჩემს ჰყავს ბატები.

#### ჩასვით ასოები წერტილების ნაცვლად:

Са́ра . .кыз сы́моуп. Шэ́ара а́кызкэа . .ымóуп. Бара́ а́кызкэа ..ымóума?  
 Тама́р ланду́ а́кán . .фóит.

**თარგმნეთ ქართულად:**

Тамár лказшьá бзйоуп. Сандý акызкæа лымоуп. Сашьá акáб ифóит.  
Акрыфара áамта áаит.

**Ажæапкæ** – Икасцаша хæа заанатц умтæхæалан, ианыкоутдалак ихæа.  
**ანდაზა** – „ჯერ გადახტი, ჰოპ მერე დაიძახეო!“

**ჩასვით სიტყვები წერტილების ნაცვლად:**

Сандý . . . ифóит. Тамár . . . бзйоуп. Акыз . . . бзйá иабóит.  
Áмра . . . бзйá илбóит.  
– Áмра . . . бымазами?  
– Áаи, сара . . . сымоуп.

**შეადგინეთ წინადადებები:**

Акыз, бзйá, азý, иáбоит.  
Тамár, бзйоуп, лказшьá.  
Сарá, амакá, сашьá, ймоуп.

**ажæапкæ** – Акарматцýс áшæахæара аумрцáн.  
**ანდაზა** – „ნუ ასწავლი ბულბულს გალობას“.

ákацара – კეთება	акáма – ხანჯალი
акýлахара – გაჭედვა	акыркýн – ყელი
аласбá – ლეკვი	акáзшьá – ხასიათი
áнa – ძვალი	амакá – ქამარი
áфара, акрыфара – ჭამა, სადილობა	атцáн – მოსწავლე
áамта – დრო	áкалара – ყოფნა;
áаира – მოსვლა	დამწიფება;
акáн – გოგრა	акатá – ახალგაზრდა

**Кә кә**

ლაბიალური ფარინგალური ხშული თანხმოვანი.

ашæкæýн – წიგნი	акæарá – ყორე/ ქვიანი ნაპირი
акæýд – ლობიო	амшýн акæарá – ზღვის ნაპირი

akəart – კრუხი  
akəraan – ყორანი

Akəa – სოხუმი  
akəysh – ჭკვიანი

**თარგმნეთ ქართულად:**

Ари akəraan оуп. Уи дүүп еикəацəоуп. Тамар Akəa дынхóит. Akəa ахтýнн калакýуп. Уи дáара ипшзəоуп. Akəa амшын еикəа афýкəан ишътəоуп. Амшын akəará дáара ипшзəоуп.

**თარგმნეთ აფხაზურად:**

ეს ყვავია. იგი დიდია, შავია. თამარი სოხუმში ცხოვრობს. სოხუმი დიდი ქალაქია. ის ძალიან ლამაზია. სოხუმი ზღვის ნაპირასაა. ზღვის სანაპირო ძალიან ლამაზია.

**უპასუხეთ კითხვებს:**

- Темыр, уарá уабánхой?
- Сы́мра, барá бабánхой?
- Тамар, барá башьá дабánхой?

**თარგმნეთ აფხაზურად:**

სოხუმი ლამაზი ქალაქია. მე სოხუმში ვცხოვრობ. მე მიყვარს ჩემი ქალაქი. ჩემს ძმას წიგნები აქვს.

**თარგმნეთ ქართულად:**

Сарá ашəкəкəа сы́моуп. Сашьá дáара дкəýшуп. Атцарá бзианы ицəóит.

**ჩასვით სიტყვები წერტილების ნაცვლად:**

- . . . . . kəýшуп
- . . . . . ukəýшуп
- . . . . . шəкəýшуп
- . . . . . kəýшуп

**შეადგინეთ წინადადებები:**

- сарá, бзиá, Akəa, избóит.
- унхóма, Akəa, уарá.
- ашəкəкəá, сашьá, ýмоуп.
- akəraan, áбна, иáлоуп.
- сандý, akəýд, илфóит.

**Ажәаҭҭка** – Аҭәарт иагәдырцаз, акәчышь иаахоит.  
**ანდაზა** – „რასაც კრუხს ესვრი, წიწილას მოხვდება“.

аикәацәа – შავი	акәчышь – წიწილა
агәыдцара – სროლა	аахара – მოწვევა, გამოწვევა
ахтныкалакь – დედაქალაქი	аахара – დარტყმა

## Кь кь

ფარინგალური პალატალური ხშული თანხმოვანი.

алапкьа – ტარო	ацакьа – კლდე
акьашь – ჭუჭყიანი	аилкьа – მოხერხებული
акьака – ბრტყელი	

## თარგმნეთ ქართულად:

Сабдү ифны́ ааигәара цакьа дук ыкоуп. Ацакьа азыхь ацысны илѐиуеит. Уарá уеимáакәа кьашьүп.

- Темыр, уарá ацакьа убáма?
- Ааи, сарá ацакьа збѐит.
- Ианбá?
- иацы́.

## თარგმნეთ აფხაზურად:

ბაბუაჩემის სახლის გვერდით არის დიდი კლდე. კლდიდან წყარო გამოედინება. შენი ფეხსაცმელი ჭუჭყიანია.

- თემურ, შენ კლდე ნახე?
- დიახ, მე კლდე ვნახე.
- როდის?
- გუშინ.

Изеиҭшрöузеи? – როგორია?

Адгыл икьáкоуп – მიწა ბრტყელია.

**თარგმნეთ აფხაზურად:**

მე ვნახე ბატი. იგი ლამაზია. მას აქვს ქამარი. იგი დიდია. მე ვხედავ კლდეს. იგი დიდია, ლამაზია. როგორია კლდე?

**ჩასვით სიტყვები წერტილების ნაცვლად:**

Сарá . . . . збѣит. Сашьá . . . . ймоуп. Шѣарá . . . . жѣбáма?

**თარგმნეთ ქართულად:**

- Барá აცáкьá ббáма?
- Мап, сарá აцáкьá сымбазѣит.
- Башьá აцáкьá ибáма?
- Áаи, сашьá აцáкьá ибѣит.

**უპასუხეთ კითხვებს:**

Уарá азíа Рíца убахьóума? Ианбаубеи уарá азíа Рíца?  
Изеиᄁшрóузеи азíа Рíца?

**შეადგინეთ წინადადებები:**

- აцáкьá, уарá, иубáма?
- áдгьыл, кьáкьoуп.
- Рíца, сарá, (и)збахьѣит, азíа.

---

алапкьá – ტარო	áдгьыл – მიწა, ადგილი
áкьашь – ჭუჭყიანი	азьíхь – წყარო
акьáка – ბრტყელი	аимáа – ფეხსაცმელი
აцáкьá – კლდე	ацарá – წასვლა
айлкьá – მკვირცხლი, მარჯვე, მოხერხებული	атцара – სწავლა
амакá – ქამარი	ааигѣара – ახლოს
абарá – ნახვა	ахѣарá – ლაპარაკი
ианбá – როდის?	áдаᄁь – ბაყაყი
иацьí – გუშინ	адý – დიდი

## გაკვეთილი №9

## სისინა აფრიკატები

## З з, Ц ц, Ц ц

## З з

სისინა აფრიკატი, შედის ინტენსივობის **za** ელემენტის შემადგენლობაში.

азыс – ბატკანი

аҭсыз – თევზი

азы – წყალი

аза – ნესტი

Заз – მკ.-ის საკუთარი სახელი

азáза – ცვარი

азын – ზამთარი

азíа – ტბა

атзын – კედელი

азíас – მდინარე

## თარგმნეთ ქართულად:

Азын асы ауейт. Ахэычкэа асы иáлоуп. Темыр асы ýламлан, убаáзоит. Тамар, азы сыт. Азыс азáза иáлоуп. Заз аҭсыз ибейт. Даур аҭсыз бzíа ибóит. Бзыҭ азіасуп. Рíца азіауп. Тамар дызҭáбуп.

## თარგმნეთ აფხაზურად:

ზამთარში თოვლი მოდის (თოვლს აკეთებს). ბავშვები თოვლში (შიგ) არიან. თემურ, თოვლში (შიგ ნუ ხარ), დასველედეები! თამარ, წყალი მომეცი! ბატკანი ცვარში (შიგ ) არის. ძამმა თევზი დაინახა. დაურს თევზი უყვარს . ბზიფი მდინარეა, რიწა ტბაა. თამარი გოგოა.

## თარგმნეთ ქართულად:


Азын асы ауейт. Темыр, азы сыт! Сара аҭсыз бzíа избóит.

## ჩასვით სიტყვები წერტილების ნაცვლად:

Азын . . . . ауейт. Сара . . . . бзиа избóит. Темыр, . . . . Сыт. Азыс . . . . илоуп. Сара . . . . збейт. Дара ирбейт. Уара . . . . убама?



**შეადგინეთ სიტყვები:**



**უპასუხეთ კითხვებს:**

- Азын асы ауама?
- Ааи, азын асы ауеит.
- Уара асы бзиа иубома?
- Мап, сара асы бзиа избазом.

- áзыс – ბატკანი
- апысыз – თევზი
- азы́ – წყალი
- азá – ნესტი
- Заз – მკ.-ის საკუთარი სახელი
- азáза – ცვარი
- áзын – ზამთარი
- азíа – ტბა
- атзы́ – კედელი
- азíас – მდინარე
- асы – თოვლი

- асы ауéит – თოვლი მოდის
- у́нáазоит – დასველდება შენ (მკ.)
- áзџан – გოგო
- асы́ дýлоуп – თოვლში შიგ არის (ის) (თოვლზე დადის)
- асы́ й́лоуп – თოვლში შიგ არიან (ისინი) (თოვლზე დადიან)
- асы́ ýламлан – შენ (მკ.) თოვლში შიგ არ ჩადგე! (თოვლზე არ იარო!)

**Ц и**

სისინა აფრიკატი, შედის სათანაო შინაარსის გამომხატველ **аиц**-პრეფიქსის შემდაგენლობაში. ლოკალური პრევერბი, გამოხატავს „თან“ მყოფობას: **арахэ хрыцын** „საქონელს ვახლდით“.

**თარგმნეთ ქართულად:**

- Шәарá иацы́ шәабáказ?
- Ҳарá иацы́ аоһны́ хáкан.
- шәарá шәáнбааи?
- Ҳарá иацы́ хáаит?

- იაхьа уабáцои?  
– Иахьá сөзей сарей атеáтрахь хцóит.

Ари хтáца лóуп. У́и Адица лыхьзуп. Адица áцха бзиá илбóит. Сарá акэáц бзиа избóит. Сашьá дхэ́йцуеит. Сахэ́шá дыццакуеит. Сарá áмц схэ́зóм. Сарá исы́цлеит. Хáра ашьхымзакэ́а рацэ́аны ихáмоуп. Убри áкы́нтэ афны́ есы́мша áцха хáмоуп.

**Ажэаҟка** – Шьхыц зқэмтэо шэтык ы́кам.

**ანდაზა** – „არ არსებობს ყვავილი, ფუტკარი რომ არ ჯდებოდეს“.

**თარგმნეთ ქართულად:**

- Мшыбзиá Сáндро! Уабáцои?  
– Бзи́ара убáат, Алхаз! Сара афны́ка сцоит, Уара уабáцои?  
– Сарá а́усурахь сцоит, сáтáмзааит дáара сыццакуеит, абзиараз!  
– Абзи́араз, утáца áсалам сызлы́т!

**Ацуфара** – Акэ́цбал дузам, ихэ́йчуп, аха афны́цка рашыла итэуп (**Акакан**).

**გამოცანა** – „ქოთანო არც დიდია, პატარაა, მაგრამ შიგნით ნიგვზის ზეთით სავსეა“ (**ნიგოზი**).

Ац – კბილი	áцра /ацýра – 1. ცალი; 2. კაკა-
áца – კუჭი	ლი, მარცვალი
ацá – ბალი, ალუბალი; მწარე,	иацы́ – გუშინ
ცხარე	áмц – ტყუილი
ацáкьа – კლდე, ტინი	цъаргьы́ – არსად
ацахá – ნაჭერი, ნაგლეჯი,	атáца – რძალი, პატარძალი
ნაფლეთი	áцха – თაფლი
áцха – ხიდი	акэ́áц – ხორცი
áцхара – კბენა, კბეჩა	ахэ́йцра – ფიქრი
áцкьа – სუფთა	áццакра – აჩქარება
áцлара – მიმატება	ахэ́арá – ლაპარაკი, თქმა
ацы́н – კვერნა	зны́мзар зны – როდისმე
ацарá – წასვლა	áңхашьара – სირცხვილი
ацаңхá – გასაღები	áрацэ́а – ბევრი
афы́ц – ახალი	сáтáмзаит – გეთაყვა

ашьхымза – სკა	абзыараз – ნახვამდის
уьры акынтә – ამიტომ	асалам – სალამი
есымша – ყოველთვის	акәцәал – ქოთანნი
акәтәара – დაჯდომა	адү – დიდი
ашәт – ყვავილი	ахә – მაგრამ
ыказам – არ არის	аоныцка – შიგნით
уабәаои – სად მიდიხარ?	арашы – ნიგვზის ზეთი
дәара – ძალიან	

## Цц

სისინა აფრიკატი, შედის ლოკალური პრევერბის **па-** შემადგენლობაში, გამოხატავს „ქვეშ“ მყოფობას: **ацоуп** „ქვეშ აქვს“ ..., **п** – ძირ-სუფიქსი დინამიკურ გარდაუვალ ზმნებში: **стацит** „რალაციდან გამოვედი“, აგრეთვე შედის **па** ძირ-სუფიქსის შემადგენლობაში დინამიკურ გარდამავალ ზმნებში: **итасцит** „რალაცაში ჩავდე“.

аца – ფსკერი	ацаа – ყინვა
ацла – ხე	ацааы – მოსწავლე

## თარგმნეთ ქართულად:

Уахынла итаауеит. Сарә стаауп. Харцааы адца хәлтәит. Сыоны аңхьа ацла гылоуп. Ацабырг ухәароуп! Ларә аңсуа цәсла дынхәит. Сарә азцаара сымоуп. Ацааы арцааы длазцааит. Ус кашәымцән!

## თარგმნეთ აფხაზურად:

ღამე ყინავს. მე მოსწვალე ვარ. ჩვენმა მასწავლებელმა დავალება მოგვცა. ჩემი სახლის წინ ხე დგას. სიმართლე უნდა თქვა. ის (ქ.) აფხაზური წესებით ცხოვრობს. შეკითხვა მაქვს. მასწავლებელმა მოსწავლეს ჰკითხა. – ასე არ გააკეთოთ!

**Ажәаңка** – Ацәра лашәроуп, ацарәдара лашьцәроуп.  
**ანდაზა** – „სწავლა სინათლეა, უსწავლელობა სიბნელე“.

арцаԾ – მასწავლებელი	агьларა – დგომა
აძარა – სწავლა, სწავლება, განათლება	აღაშარა – სინათლე
აძარადარა – უსწავლებლობა, უწიგნურობა	აღაშაძარა – სიბნელე
აძარც – წესი	აძარა – დავალება
აძარა – წვრილი, თხელი	აუა – ხალხი
აძარა – ჭეშმარიტება	აუ – ის
აძარა – კითხვა	აუა – ღამდამობით
ауа – ღამე	აუა – მცენარე
აძარა – მიცემა	აუა – ჭა
	აძარა – ზღაპ. ჯუჯა ხალხი
	აძარა – თრთვილი

## გაკვეთილი №10

### ლაბიალიზებული სისინა აფრიკატები

#### ზა ვა, Цә ца, Цә па

#### ზა ვა

ლაბიალიზებული, სისინა აფრიკატი.

- азын – ერთი ვიღაც  
 áვэаара – რეცხვა  
 дааазын – სხვა ვიღაც

#### თარგმნეთ ქართულად:

Тамар áვэаага асапын (и)áлхэит. Ўи лымаҭаакәа лызэаóит. Тамар лымаҭаакәа áмраҭы илырбéит. Нас илуантéит.

- Барá икалцóи?  
 – Сарá сызэаóит.  
 – Бахәшьá икалцóи?  
 – Сахәшьá дуантóит.

#### თარგმნეთ აფხაზურად:

თამარმა სარეცხის საპონი იყიდა. ის თავის ნივთებს რეცხავს. თამარმა თავისი ნივთები მზეზე გაფინა (მზე დაანახვა), შემდეგ გააუთოვა.

- შენ (ქ.) რას აკეთებ?  
 – მე ვრეცხავ  
 – შენი და რას აკეთებს?  
 – ჩემი და აუთოვებს.

Икаицóзей? – რას აკეთებს ის (მკ.)?

Икалцóзей? – რას აკეთებს ის (ქ.)?

Икарцóзей – რას აკეთებენ ისინი?

#### ჩასვით ასოები წერტილების ნაცვლად:

Сарá . . .ызэаóит. Уарá . . .зэаóит. Барá . . .ызэаóит. иарá . . .ызэаóит.  
 Лара . . .ызэаóит. Харá . . .ызэаóит. Шәарá . . .ызэаóит. Дарá . . .ызэаóит

**თარგმნეთ ქართულად:**

- Тамარ иკაიძოზეი?
- Тамარ, დაჲხეოიტ, დыჲუეიტ, დызჲჳოიტ, დუანტოიტ.
- Уарა иკაუციოი?
- Сарá жәабаркынза сыпхьязоит.

**თარგმნეთ აფხაზურად:**

- რას აკეთებს დედაშენი?
- დედაჩემი რეცხავს.
- რას აკეთებს შენი და?
- ჩემი და დედას ეხმარება.

Азәы – ერთი (ადამიანი)  
 აჳჳაара – რეცხვა  
 даәазәы – სხვა (ადამიანი)  
 иკაიძოზეი? – რას აკეთებს? ის (მკ.)  
 иკაიძოზეი? – რას აკეთებს? ის (ქ.)  
 აჳჳაага сапын – სარეცხის საპონი

**Цә цә**

სისინა ლაზიალური აფრიკატი, გონიერთა კლასის მრავლობითობის სუფიქსის შემადგენლობაშია -**цәа**: **аჳჳაბ-цәа** „გოგოები“.

აцә – ხარი	арацәá – ბევრი
áцәá – ძილი	амацәáз – ბეჭედი
ацәá – ტყავი, კანი	ацәáжәара – ლაპარაკი

**თარგმნეთ ქართულად:**

Ақәаурá иакәы́цит. Амш еилгéит. Áцәáкәа цәы́рцит. Стáацәа áцәáкәа  
 иáхәაп̄шуеит. У́и дáара ип̄шзóуп.  
 – Ақәаурá иакәы́цма?  
 – Áаи, ақәаурá иакәы́цит.  
 – Амш еилѓлама?  
 – Ааи, амш еилгéит, áмра цәы́рцит.

**თარგმნეთ აფხაზურად:**

აფხაზურ სალიტერატურო ენაში 5 ხმოვანია: **а, е, и, о, у**, დამატებით **ы** „ირაციონალური, ანუ ნეიტრალური“ ხმოვანი. ამათგან ძირითადია **а** და **ы** ხმოვნები, დანარჩენები დიფთონგური წარმომავლობისაა: **е** მიიღება **иа** ან **аи** კომპლექსებისაგან: **ецъ** < **ицъ** „გუშინ“ **и** მიიღება **иы** ან **иы** კომპლექსებისაგან **ицейт** < **иыцейт** „ისინი წავიდნენ“, **о** მიიღება **ya** და **ay** კომპლექსებისაგან: **оха** < **yoxá** < **yaxá** „ამდამ“, ხოლო **у** მიიღება **ыу** ან **уы** კომპლექსებისაგან: **апатъ** < **апатыу** „პატივისცემა“.

აფხაზური **а** ხმოვანი დაბალი აწეულობის ვიწრო ხმოვანია. გვხვდება სიტყვის თავში, შუაში, ბოლოში: **áн** „დედა“, **апаны** „ხელი“, **абърца** „აივანი“...

ასევე სიტყვის ყველა პოზიციაში შეიძლება შეგვხვდეს ორი **аа** ხმოვანი, რომლის ამოსავლად **ʒа** მარცვალი ივარაუდება: **аблаám** „ბალღამი“.

ზოგ შემთხვევაში მოსალოდნელი სამი ან ოთხი ხმოვნის ნაცვლად მუდამ ორი **а** ხმოვანი დასტურდება: **áнда** < \***а-áнда** < \***а-ʒанда** „ღობე“.

**е** ხმოვანი წინა წარმოების საშუალო აწეულობის ფონემაა, გვხვდება სიტყვის ნებისმიერ პოზიციაში. აფხაზურ საკუთარ ლექსიკურ ფონდში მეორეული წარმოშობისაა. ნასესხებ სიტყვებში **е** ხმოვანი **а** ხმოვნითაა შეცვლილი: **წესი** > **ацáс**, **ჩელტი** > **ачáлт**.

თუ **е** ხმოვნის წინ გამსესხებელ ენაში **г, к, қ, ҕ, х, к** თანხმოვნები დგას, მაშინ აფხაზურში **е** ხმოვნის პალატალიზაცია გადაეცემა თანხმოვანს და ვიღებთ **гь, қь, къ, ҕь, хь, кь** თანხმოვნებს, რომელთაც **а** ხმოვანი მოსდევს: **სარკე** > **асаркья**, **გემო** > **агьама**...

ხმოვანი **и** წინა წარმოების ზედა აწეულობის ფონემაა. მარტივი სახით თითქმის არ გვხვდება, დიფთონგური ბუნებისაა.

თუ **ი** გამსესხებელ ენაში **г, к, ж, х, й** თანხმოვნებს მოსდევს, აფხაზურში ხდება ამ თანხმოვანთა პალატალიზაცია. **гь, кь, жь, хь, йь** მათ შემდეგ კი თავს იჩენს ნეიტრალური **ы** ხმოვანი: **ადგილი > адгылы, კობე > акьына...**

ხმოვანი **о** საშუალო აწეულობის უკანა წარმოების ფონემაა. იგი გვხვდება სიტყვის ნებისმიერ პოზიციაში: **уахá** „ამაღამ“, **дызбоит** „მე მას (ად.) ვხედავ“, **ицо** „ისინი მიდიან რა...“

ნასესხებ სიტყვებში **о** ხმოვანი დაიშლება **ya** კომპლექსად, თუ მის წინ დგას ლაბიალიზაციისაკენ მიდრეკილების მქონე თანხმოვანი **y** იქცევა წინა თანხმოვნის ლაბიალიზაციის მიზეზად, **a** ხმოვანი კი ხშირად შენარჩუნდება: მეგრ.: **ოხვამე > аухама** „ეკლესია“... დამატებითი ლაბიალიზაციისაკენ მიდრეკილების უქონელ თანხმოვანთა შემდეგ კი **о** ხმოვანი **a** ხმოვნით იცვლება: **ფონი > аһаи...**

ხმოვანი **y** უკანა წარმოების ზედა აწეულობის ფონემაა. **и** ხმოვნის მსგავსად უფროსი თაობის მეტყველებაში ისიც იშვიათად დასტურდება, რაკი დიფთონგური ბუნება აქვს. ნასესხებ სიტყვათა მახვილიანი **y** ხმოვანი აფხაზურში ზოგჯერ უცვლელი რჩება მეგრ. **ულუ > აფხაზ. áуһа || áуһау** „უღელი“.

ნასესხებ სიტყვებში **y** ხმოვანი იწვევს ლაბიალიზაციის მიდრეკილების მქონე თანხმოვანთა ლაბიალიზებას და შემდეგ **ы** ხმოვნის გაჩენას: **დუქანი > адәкәи** <\* **адәыкәи...**

ხმოვანი **ы** უფრო ვიწროა ვიდრე **a**. იგი თითქმის არ გვხვდება სიტყვის თავში, ხშირია სიტყვის შუა და ბოლო პოზიციაში: **ахыза** „საბანი“, **азы** „წყალი“. ხშირად **ы** ხმოვანი მიღებულია **a** ხმოვნისაგან: აზაზური **ха** – აფხაზ. **a-хы** „თავი“. **ы** ნეიტრალური ხმოვანი ვერ ძღვება **x** თანხმოვნის გვერდით და მას ენაცვლება **a** ხმოვანი.

### ნახევარხმოვნები

ნახევარხმოვანი **и (ə)** შუაენისმიერი ფონემაა და დასტურდება ნებისმიერ პოზიციაში **иара** „ის, იგი“ (მკ. ან არაგ.), **ахиуан** „პირუტყვი“.

ნახევარხმოვანი **y (ʏ)** წყვილბაგისმიერი ბგერაა და ისიც ყველა პოზიციაში დასტურდება **yара** „შენ“ (მკ.), **уацәы** „ხვალ“, **даауейт** „იგი (ად.) მოდის“...

### თანხმოვნები

ავხაზურ სალიტერატრო ენაში სულ **56** თანხმოვანი ფონემაა. ისინი იყოფა ხშულებად, აფრიკატებად, სპირანტებად, სონორებად.

ხშული თანხმოვნებია: **ბ, ბჟ, პ, დ, ტ, ტ, დჰ ტჰ, თჰ, გ, კ, კ, გზ, კზ, კზ, გჰ, კჰ, კჰ.**

აფრიკატი თანხმოვნებია: **ჯ, ძ, ძ, ჯჰ, ძჰ, თჟ, ჟ, ჟ, ძ, ჟ, ჟ.**

სპირანტი თანხმოვნებია: **ვ, ფ, ზ, ც, ჯ, შ, ჯზ, შზ, ჯჰ, შჰ, ზ, ხ, ზზ, ხზ, პჰ, ჰჰ, ჰ.**

სონორი თანხმოვნებია: **მ, ნ, ლ, რ.**

ხშული და აფრიკატი თანხმოვნები ქმნიან სამეულთა სისტემას, სპირანტები წყვილდებულთა სისტემას, სონორები ცალეულთა სისტემას.

ხშული, აფრიკატი და სპირანტი თანხმოვნები გართულდებულია ლაბიალიზაციით, პალატალიზაციით და ველარიზაციით (მაგარი ფონემები).

წყვილბაგისმიერი ხშულები სამეულთა ერთი რიგითაა წარმოდგენილი. მჟღერი **ბ**, ფშვინვიერი **ბჟ**, მკვეთრი **პ**. ისინი გვხვდება სიტყვებში **აბარა** „დანახვა“, **აბჟრა** „აფრა“ **აურა** „ნაბადი“.

ენაკბილისმიერი ხშულები ხმოვანთა ორი სამეულის რიგით არის წარმოდგენილი: 1. სადა ენაკბილისმიერი **დ ტ ტ**. ეს ბგერები არის სიტყვებში **ადა** „მარღვი“, **ატაძა** „პატარძალი“, **ათვ** „ბუ“... 2. ლაბიალიზებული ენაკბილისმიერი **დჰ თჰ თჰ** სამეული რთული ბუნების ბგერებია. ეს ფონემები გვხვდება სიტყვებში: **ადჰვ** „მინდორი“, **ატჰა** „თივა“, **ატჰვ** „მონა“. ამ ორი რიგის თანხმოვანთა მჟღერებია: **დ, დჰ; ფშვინვიერები: ტ, ტჰ; მკვეთრები ტ, ტჰ...**

უკანაენისმიერ ხშულთა სამეულები სამ რიგს ქმნიან: 1. სადა უკანაენისმიერი **გ, კ, კ**. ეს ფონემები არის სიტყვებში **აგარა** „აკვანი“, **აკვტა** „სოფელი“, **აკაკარა** „კაკანი“.

2. ლაბიალიზებული უკანაენისმიერი ფონემებია **გჰ, კჰ, კჰ**. ეს ფონემები არის სიტყვებში: **აგჰვ** „გული“, **აკჰა** „წვიმა“, **აკჰა** „უბე“.

3. პალატალიზებული უკანაენისმიერი **გზ, კზ, კზ**. ისინი დასტურდება სიტყვებში: **აგზა** „ცუდი“, **აკზა** „კარავი“, **აკზაკზა** „მაგარი“.

მჟღერებია: **გ, გჰ, გზ; ფშვინვიერები: კ კჰ, კზ; მკვეთრები კ, კჰ, კზ...**

ფარინგალურ ხშულთა სისტემა ნაკლოვანია. ამ სისტემაში ამჟამად შედის მხოლოდ სადა ფარინგალური მკვეთრი **k**, ლაბიალიზებული მკვეთრი **kə** და პალატალიზებული მკვეთრი **kʰ**. ამ სამეულებს აკლია ფშვინვიერი და მჟღერი სახეობები. დასახელებული ბგერები არის სიტყვებში: **აკაქაშ** „წითელი“, **აკა** „სოხუმი“, **აკარა** „ქნევა“.

სისინა აფრიკატები აფხაზურ სალიტერატურო ენაში სამეულთა ორი რიგის სახით არის წარმოდგენილი: 1. სადა სისინა აფრიკატები **ჟ**, **ძ**, **წ**. ისინი არის სიტყვებში: **აჟა** „ნედლი“, **აძ** „ნისკარტი“, **აწა** „ფსკერი“.

2. ლაბიალიზებული სისინა აფრიკატები **ჟა**, **ძა**, **წა** სპეციფიკური რთული ფონემებია. ეს ფონემები არის სიტყვებში: **აჟაქ** „ერთი ვიღაც“, **აძა** „ხარი“, **აწა** „ვაშლი“. დასახელებულთაგან: **ჟ**, **ჟა** მჟღერია, **ძ**, **ძა** ფშვინვიერი, **წ**, **წა** – მკვეთრი.

შიშინა აფრიკატებიც ორი სამეულის სახით არის წარმოდგენილი. 1. სადა შიშინა აფრიკატები **შხ**, **ჩ**, **ჭ**. ისინი არის სიტყვებში **აშხ** „მუხა“, **აჩა** „პური“, **აჭაქანი** „ბიჭი“. 2. მაგარი ანუ ინტენსიური შიშინა აფრიკატები **შ**, **ჩ**, **ჭ** სპეციფიკური ფონემებია. ეს სამეული არის სიტყვებში. **აშყ** „ფოლადი“ **აჩენ** „ცხენი“, **აჭენ** „პირი“. დასახელებულ ორ სამეულში მჟღერებია: **შხ**, **ჩ**; ფშვინვიერები: **ჩ**, **ჩ**; მკვეთრები: **ჩ**, **ჭ**.

კბილბაგისმიერ სპირანტთაგან აფხაზურს მოეპოვება მჟღერი **ვ** და **ფ** ფონემათაგან შემდგარი წყვილგული. ეს ფონემები არის სიტყვებში: **ავარა** „გვერდი“, **აფენ** „ელვა“.

წინაენისმიერი სადა სისინა **ჟ** და **წ** წყვილგულიდან **ჟ** მჟღერია, **წ** – ყრუ. ეს ფონემები არის სიტყვებში: **აჟა** „მთვარე, თვე“, **აწა** „სტუმარი“.

წინაენისმიერი შიშინა სპირანტები აფხაზურში სამი წყვილგულით არის წარმოდგენილი: 1. სადა შიშინა **ჟხ**, **შხ**. ეს ფონემები დასტურდება სიტყვებში: **აჟხ** „ყურძენი“, **აშხა** „კურდღელი“. 2. ინტენსიური, შიშინა **ჟ**, **შ** არის სიტყვებში: **აჟრა** „თხრილი“, **აშა** „მწარე“... 3. ლაბიალიზებული შიშინა **ჟა**, **შა** დასტურდება სიტყვებში: **აჟა** „ძროხა“, **აშა** „ყველი“. დასახელებულ სამ წყვილგულში მჟღერებია: – **ჟხ**, **ჟ**, **ჟა**, ყრუებია: – **შხ**, **შ**, **შა** ფონემები.

უკანანისმიერი სპირანტებიც სამი წყვილელით არის წარმოდგენილი

1. სადა **ჟ, ხ** თანხმოვნები. ისინი გვხვდება სიტყვებში: **აჟა** „მტერი“, **ახы** „თავი“. 2. ლაბიალიზებული **ჟა, ხა**. ისინი დასტურდება სიტყვებში: **აჟаы** „ფიცარი“, **ахада** „კისერი“. 3. პალატალიზებულ **ჟხ, ხჟ** სპირანტები გამოითქმის როგორც ერთ ფონემად შერწყმული **ჟხ, ხჟ** კომპლექსები. ეს ფონემები არის სიტყვებში: **аңхьыц** „ფოთოლი“, **ахьы** „ოქრო“... დასახელებული ბგერებიდან მჟღერებია **ჟ, ჟა, ჟხ, ხოლო ხ, ხა, ხჟ** ყრუ ფონემებია.

ლარინგალური სპირანტებიდან აფხაზურს სამი ფონემა მოეპოვება: ყრუები – **х** და **ха**, მჟღერი **а**. ეს ფონემა არის სიტყვებში: **ах** „ბატონი“. **х** თანხმოვნით გადმოიცემა ქართული **х** ფონემა. მაგ.: **орхано** > **ауархан** „ხალიჩა“. ამ ფონემას არ მოეპოვება თავისი რიგის მჟღერი ლარინგალური შესატყვისი ფონემა. ლაბიალიზებული **ха** დასტურდება სიტყვებში: **ахаара** „თქმა“, **ахыс** „ხბო“. აფხაზური ენის ლაბიალიზებული ლარინგალური **а** ფონემა სპეციფიკურია. იგი არის სიტყვებში: **ады** „ღვინო“, **ацады** „მოსწავლე“.

სონორი ბგერებიდან **м** ბაგისმიერ-ცხვირისმიერია, **н** – ცხვირისმიერი. ისინი არის სიტყვებში: **ámра** „მზე“, **аң** „დედა“... ნარნარა **л, р** თანხმოვნები უფრო ინტენსიურია, ვიდრე შესაბამისი ქართული ფონემები. ისინი დასტურდება სიტყვებში: **ал** „მურყანი“, **ар** „ჯარი“... ოთხივე სონორი მჟღერი ბგერაა.

### ძირთა სტრუქტურა, მარცვალი და მახვილი

აფხაზური სიტყვის ძირი ისტორიულად მარტივი იყო. ახლაც მრავალი საკუთრივ აფხაზური ძირი შედგება ცალი თანხმოვნისაგან, რომელსაც **а** ან **ы** ხმოვნები ახლავს. ზოგჯერ ძირისეული თანხმოვანი უხმოვნოდაც არის წარმოდგენილი **С: а-п-а** „ფსკერი“, **а-к-ра** „ჭერა“ **а-с-ра** „ცემა“. ვარუდობენ, რომ აფხაზურისათვის ამოსავალი იყო **CV: а-га-ра** „წაღება“. ამჟამად **CVC**-ც დასტურდება. მაგ.: **а-ныл-ра**... აფხაზურ ძირთა დიდი ნაწილი წარმოქმნილია კომპოზიციით ან რედუქლიკაციით. ამ დროს მახვილის ზემოქმედებით მიიღება თანხმოვან-თკომპლექსები. კომპლექსთა წარმოქმნისას მნიშვნელობა აქვს მეზობლად მოხვედრილ ფონემათა რაგვარობას. აფხაზურისათვის შეუთავსებელი კომპლექსის დასაძლევად თანხმოვნებს შორის გაჩნდება **ы** ხმოვანი (ჩვეულებრივ, ორი თანხმოვნის წინ ან შემდეგ). ამჟამად ენაში

ყველაზე გავრცელებულია თანხმოვანთა ისეთი კომპლექსები, რომელთა პირველი კომპონენტებია ბაგისმიერი **ნ, ჲ, მ** თანხმოვნები: **ნჰ, ნჯ, ნწ, ნპ, ნფ, ჲც, ჲშხ, ჲშ, ჲჟ, ჲხ, ჲხხ, ჲჟ, ჲჟა, ჲჟ, ჲჟ, ჲჟ, მჰ, მწ, მპ, მჯ, მრ, მც, მტ, მწ, მკა, მშა, მჟ, მც, მჟ, მჟ, მჟ, მჟ** რაც შეეხება **ჩკ, ჩქ, ტკ** კომპლექსებს, ისინი დასტურდება ძირითადად ქართულიდან ნასესხებ სიტყვებში.

მახვილის ძლიერი ზემოქმედების შედეგად ფუძე შეიძლება ძალზე შეიცვალოს და მივიღოთ რამდენიმე თანხმოვნისანი კომპლექსიც: **აჲცტჟა** „ღრუბელი“, **აჲჩშა** „გამოსავალი“, სადაც ხშირად არის სპირანტი ან სონორი თანხმოვანი.

მახვილი აფხაზურში ინტენსიური და მოძრავია, იგი შეიძლება სიტყვას მოუდიოდეს ნებისმიერ პოზიციაში. მრავალი ომონიმური სიტყვა დღესდღეობით თითქოს მახვილის მიხედვით განსხვავდება. მაგ. **აჲა** „თვალი“, **აჲა** „ძალი“, **აჲა** „საბერველი“ და **აჲა** „მტერი“, მაგრამ ისტორიულად ეს სხვადასხვა ფუძეებია. ანუ აფხაზურში მახვილი სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქციით არ არის აღჭურვილი.

### ფონეტიკური პროცესები

ფონეტიკურ პროცესთაგან აფხაზურში გავრცელებულია ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი, სუბსტიტუცია და რედუქცია. ყველაზე ხშირია ასიმილაციის პროცესი ხმოვნებსა და დიფთონგებში; როგორც პროგრესული, ისე რეგრესული; სრული და არასრული, კონტაქტური ან დისტანციური.

პროგრესული კონტაქტური ასიმილაციის დროს წინამავალი ბგერის გავლენით იცვლება მომდევნო და მთლიანად (იშვიათად), ან ნაწილობრივ ემსგავსება მას. მაგ.:

**ია > იე > ე: იაჲა > იეჲა > ეჲა** „დღეს“.

**უა > უო > ო: უაჲა > უოჲა > ოჲა** „ხვალ“.

**შბ > შჲ: უშბაჲოუ > უშჲაჲოუ** ? „როგორ ხარ შენ (მკ.)?“

**რტ > რდ: აჲარტაჲა > აჲარდაჲა** „სკამლოგინი“.

რეგრესული კონტაქტური ასიმილაციის დროს წინამავალი ბგერა მომდევნო ბგერის ზეგავლენით ემსგავსება მას.

**აი > ეი სჲაიტ > სჲეიტ** „წავედი“.

**სბ > ჰბ აჲხჲსბა > აჲჟჲსბა** „ქალიშვილი“.

კონტაქტური დისიმილაციის შედეგად კაუზატივის მაწარმოებელი **რ**- თავსართის გავლენით ზმნის III პირის მრავლობითი რიცხვის



ნიშანი **p-** იცვლება **d-** ნიშნით (განემსგავსება კაუზატივის ნიშანს): **рýркацент > дыркацент** „მათ მას (მკ.) რაღაც გააკეთებინეს“...

დისტანციური დისიმილაციის შედეგად უარყოფით ბრძანებით-ში უარყოფის პრეფიქსი **m-** განიმსგავსებს უარყოფისავე **m-** სუფიქსს: **ыумгáм! > ыумгáн!** „შენ (მკ.) ის არ წაიღო!“...

მეტათეზისის დროს ბგერები ადგილს უცვლიან ერთმანეთს. მაგ.: **аклапáд > акалпáд** „წინდა“...

სუბსტიტუციის დროს ერთ ბგერას ჩაენაცვლება მეორე. მაგ. **ашьáмсиа > ачáмсиа** „ქოლგა“...

რედუქცია ძალზე გავრცელებულია. მაგ.: **амашýн > амшýн** „ზღვა“. ხმოვნები უჩინარდებიან მახვილის ზემოქმედებით (გვანცელაძე 2003: 25–36).

## მორფოლოგია

აფხაზურ ენაში გამოიყოფა მეტყველების 10 ნაწილი: 1. არსებითი სახელი, 2. ზედსართავი სახელი, 3. რიცხვითი სახელი, 4. ნაცვალსახელი, 5. ზმნა (მასდარი, აბსოლუტივი, მიმღეობა), 6. ზმნიზედა, 7. თანდებული, 8. კავშირი, 9. ნაწილაკი, 10. შორისდებული.

### არსებითი სახელი

აფხაზურ ენაში სახელები, შედარებით ზმნასთან, კატეგორიათა სიმცირით გამოირჩევა. მაგალითად ამ ენაში არ არის ბრუნვათა სისტემა. არსებით სახელს არ გააჩნია ბრუნება, მაგრამ, სამაგიეროდ ამ კატეგორიის უქონლობა შევსებულია ენაში მოქმედი სხვადასხვა მორფოლოგიური საშუალებებით და ამით ხდება ბრუნვათა სისტემის უქონლობის კომპენსაცია.

ის, რაც სხვა ენებში სახელთა დერივაციით გადმოიცემა, აფხაზურში თავმოყრილია ზმნაში. ამით ხდება ენაში გარკვეული ბალანსირება კატეგორიებით ღარიბ სახელსა და კატეგორიებით მდიდარ ზმნას შორის; რის მორფოლოგიურ გამოხატვასაც სახელი ვერ ახერხებს, ის ზმნური კატეგორიებით გადმოიცემა.

აფხაზური ენის არსებითი სახელი განარჩევს: 1. ზოგადობის 2. განსაზღვრულობა-განუსახდვრელობის, 3. გრამატიკული კლასის, 4. რიცხვის, 5. კუთვნილების, 6. გარდაქცევითობის, 7. ინსტრუმენტალისის, უქონლობის მორფოლოგიურ კატეგორიებს.

#### 1. ზოგადობის კატეგორია, სალექსიკონო ფორმა

განსხვავებით სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათაგან აფხაზურისათვის სპეციფიკურია არსებითი სახელის **ზოგადი** სალექსიკონო ფორმის არსებობა, რომელსაც **a**- პრეფიქსი აწარმოებს. ასეთი ზოგადი ფორმები არსებითის გარდა აქვთ აგრეთვე ზედსართავ სახელებს, მასდარს, ერთი ტიპის მიმღეობებს, ზმნიზედათა გარკვეულ ნაწილს.

ზოგადი ფორმის **a**- პრეფიქსი დაერთვის როგორც ძირეულ, ისე ნასესხებ სიტყვებს. თუ სიტყვის ფუძე იწყება **e, ი, o, y** ხმოვნებით, **ი** და **y** ნახევარხმოვნებითა და თანხმოვნებით, მაშინ **a**- პრეფიქსი მუდამ უცვლელად იქნება წარმოდგენილი: **a-xáца** „კაცი“, **a-они́** „სახლი“, **a-mýча** „მუქთახორა“.

თუ სიტყვა ფუძისეული **a-** ხმოვნით იწყება, მაშინ ზოგად ფორმაში ხდება ფუძისეული ხმოვნისა და პრეფიქსის შერწყმა ერთ **a** ხმოვნად: „\***a-ია-ბა** > \***a-აბ** > **აბ** „მამა“, \***a-იანა** > \***a-ან** > **ან** „დედა“ და სხვ.

ორი **a** ხმოვნის შემთხვევაშიც ფუძის თავში ზოგადი ფორმის **a-** პრეფიქსი შეერწყმის წინ მდგომს და სამი **a-**ს ნაცვლად მაინც ორი **a-** ხმოვანი დარჩება: **აანда** „ღობე“, **აამта** „დრო“, **аамыста** „აზნაური“.

## 2. განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორია.

ზოგადი ფორმის **a-** პრეფიქსიანი სახელები ითავსებენ **განსაზღვრულობის** გადმოცემის ფუნქციასაც და აღნიშნავენ განსაზღვრულ, ცნობილ საგანსა თუ მოვლენას: **аҭы** „ცხენი“, **ацәа** „კანი“, **ацәа** „ვაშლი“, **ацкы** „კაბა“...

**a-** პრეფიქსი გვხვდება აფხაზურ გვარსახელებშიც: **Амаршьан** „მარშანიას გვარის (ეს) ადამიანი“, **а-Бҭәжәба** „ბლაჟებას გვარის (ეს) ადამიანი“.

**განუსაზღვრელობით** კატეგორიაში ზოგად სახელს ჩამოშორდება ხსენებული **a-** თავსართი, თუ იგი ფუძის კუთვნილებას არ წარმოადგენს, ან: ბოლოს დაერთვის **-к** განუსაზღვრელობითი სუფიქსი, რომელიც **акы** „ერთი“ რიცხვითი სახელის ძირიდან უნდა მომდინარეობდეს (ლომთათიძე 1974-1975).

**ҭык** „რომელიღაც ცხენი“, **цәак** „რომელიღაც ვაშლი“ **цкык** „რომელიღაც კაბა“, მაგრამ **ан** „დედა“ – **анк** „რომელიღაც დედა“, **აბ** „მამა“ – **абк** „რომელიღაც მამა“, რადგან **a-** ამ სიტყვებში ფუძისეულია.

## 3. გრამატიკული კლასის კატეგორია

სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მსგავსად აფხაზურშიც არის **გრამატიკული კლასის** მორფოლოგიური კატეგორია, რომელსაც არსებითი სახელების გარდა განარჩევს რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი და ზმნა (აბსოლუტივი, მიმღობა).

არსებითი სახელი განარჩევს **გონიერთა** (ადამიანისა) და **არაგონიერთა** (ნივთის) მორფოლოგიურ კლასებს.

**გონიერთა** (ადამიანის) კლასში შედის: 1. ადამიანის აღმნიშვნელი **საზოგადო** არსებითი სახელები: **ауащы** „ადამიანი“, **ахәца** „კაცი“, **агәыла** „მეზობელი“... 2. **საკუთარი** სახელები: **Ахра**, **Кәаста**, **Агрба**... 3. **ეთნონიმები**: **аҭсуа** „აფხაზი“, **акыртҭа** „ქართველი“, **аурыс** „რუსი“... 4. **ნათესაობის ტერმინები**: **ан** „დედა“, **аб** „მამა“, **аҭә** „ვაჟიშვილი“... 5. **ხელობის სახელები**: **ажкы** „მჭედელი“, **ахьча** „მწყემსი“,

**арпачы** „მასწავლებელი“... 6. **ანთროპომორფულ** არსებათა სახელები: **áncá** „ღმერთი“, **აწყстаа** „ემმაკი“, **зызлан** „ალი“... ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სახელს დაესმის კითხვა **дарбан?** „ვინ? რომელი?“.

**არაგონიერთა** (ნივთთა) კლასში შედის: ყველა დანარჩენი სახელი, მიუხედავად იმისა, სულიერს აღნიშნავს თუ უსულოს: **аҭы** „ცხენი, **аҭада** „ვირი“, **ámза** „მთვარე“...

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სახელს დაესმის კითხვა **иарбан?** „რა? რომელი?“

ისევე როგორც სხვა იბერიულ-კავკასიური ენები, არც აფხაზური, განსხვავებით ინდოევროპულ ენათაგან, არ განარჩევს სახელთა გრამატიკულ სქესს.

არ აღინიშნება არსებით სახელებში არც კლასის მორფოლოგიური კატეგორია, იგი აქ მხოლოდ სემასიოლოგიურია.

სახელთა სემასიოლოგიური გრამატიკული კლასი მორფოლოგიურად განირჩევა მრავლობითობის, კუთვნილების კატეგორიებში, აგრეთვე ზმნათა პირ-კლასის აღმნიშვნელი აფიქსებით.

#### 4. რიცხვის კატეგორია

მრავლობითის წარმოება აფხაზურში ნაირ-ნაირია. განსხვავებას ქმნიან ნივთისა და ადამიანის კლასებში გაერთიანებული სახელები.

**ნივთის** კლასის სახელის მრავლობითობის აღსანიშნავად გამოყენებულია **-кәа** სუფიქსი: **áла** „თვალი“, **алакәá** „თვალები“. თუ სიტყვას ბოლოში მოუდის მახვილი, მას მრავლობითობის სუფიქსი გადაიზიდავს. თუ სიტყვა მთავრდება ნეიტრალური **ы-** ნახევარხმოვნით, მრავლობითობის სუფიქსის დართვისას ეს **ы** ჩავარდება, რადგან მახვილს დავარგავს: **ананы** „ხელი“, **анакәá** „ხელები“, **ахы** „თავი“, **ахкәá** „თავები“.

**ადამიანის** კლასის სახელების მრავლობითობა გამოიხატება **-цәа** სუფიქსით. ამ შემთხვევაშიც: თუ სიტყვის ბოლო მარცვალი მახვილიანია, ეს მახვილი სუფიქსზე გადაინაცვლებს: **апцá** „შვილი“ **апцәá** „შვილები“, **ачкәын** „ბიჭი“, **ачкәынцәá** „ბიჭები“, **азцәáн** „გოგო“, **азцәаңцәá** „გოგოები“...

მაგრამ **áн** „მამა“, **аңацәá** „მამები“, **áн** „დედა“, **аңацәá** „დედები“... ფუძისეული **-а** ხმოვანი აღდგება მრავლობით რიცხვში.

განუსაზღვრელ ფორმაში სახელს მრავლობით რიცხვშიც ჩამოსცილდება განსაზღვრულობა-ზოგადობის **а-** ნიშანი, ხოლო განუსაზღვრელობითი **-к** სუფიქსი კი დაერთვის მრავლობითობის აღმნიშვნელი სუფიქსის შემდეგ: **ақкәá** „ცხენები“ (ზოგადი ფორმა), **қкәáк** „რომელიღაც ცხენები (განუსაზღვრელი ფორმა).

განუსაზღვრელობით კატეგორიაში გარკვეულ თავისებურებას ამჟღავნებენ ადამიანთა კატეგორიის სახელები. აქ სახელი დაირთავს -**цәа** ადამიანთა კლასის მრავლობითობის აღსანიშნავ სუფიქსს და კიდევ -**кәа** ნივთთა კლასის მრავლობითობის აღმნიშვნელ სუფიქსს: **астудент-цәа** „სტუდენტები“ (ზოგადი ფორმა), **студентцәакәа́к** „რომელიდაც სტუდენტები“ (განუსაზღვრელი ფორმა), **аҟҭацәа́** „გოგოები“, **зҟацәакәа́к** „რომელიდაც გოგოები“, **апҭацәа́** „შვილები“, **пҭацәакәа́к** „რომელიდაც შვილები“.

გონიერთა კლასში შემავალი ზოგი არსებითი სახელი დაირთავს მხოლოდ არაგონიერთა კლასის -**кәа** სუფიქსს: **ахәса ахәса-кәа́** „ქალები“, **ахәычы – ахәыч-кәа́** „ბავშვები“.

წარმომავლობის სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოებისას ხშირია ოდენ -**кәа** სუფიქსის გამოყენება -**цәа**-ს პარალელურად: **ауры́ккәа || ауры́кцәа** „რუსები“, **ақы́рткәа || ақы́ртцәа** „ქართველები“.

არსებით სახელთა **კრებითობა** გადმოიცემა -**аа** სუფიქსის მეშვეობით, რომელიც ძირითადად გამოიყენება გვარსახელის, ტომის წარმომადგენელთა ან წარმომავლობის სახელთა კრებითი ფორმის საწარმოებლად: **аҟҭы-аа́** „აბჟულები“, **Акә-аа́** „სოხუმელები“, **апҭы-аа́** „აფხაზები“...

ზოგ სიტყვას მრავლობითი თავისებურად აქვს ნაწარმოები: **ауа́с** „ადამიანი“, **ауаа** „ადამიანები“.

**аа-** კრებითი მრავლობითის მაწარმოებელი გვხვდება აფხაზური წარმოშობის გვარებში სიმრავლის, კრებითობის გამოსახატავად. **Ҡар-ба, Дел-ба, Аш-ба...** **ба<пҭа** „შვილი“ ფუძისაგან; იგი ახლავს სახელს მხოლოდ რიცხვში. ზოგჯერ **ба**-ს ადგილას გვხვდება -**пҭа** ან -**па**: **патеи-па** „პატეი-შვილი“. მრავლობითობის წარმოებისას ხსენებული -**ба, -па** სუფიქსი ჩამოშორდება გვარს და მის ადგილს დაიჭერს -**аа** სუფიქსი: **Ҡар-ба, Ҡар-аа, Дел-ба, Дел-аа**.

კრებითობის მაწარმოებელია აგრეთვე რთული -**ра-аа>ра-аа>раа** სუფიქსი: **Бесик-раа́** „ბესიკი და მისიანები“ **дад-раа́** „პაპა“ (მიმართვისას, გადმონაშთია გვაროვნული თემური წყობილებისა).

ცხოველ-ფრინველთა ნაშიერების ან მცირე ზომის საგანთა -**с** სუფიქსიან სახელებს მრავლობითში -**с** ჩამოსცილდება და მის ადგილას დაერთვის -**р(а)** სუფიქსი: **арпҭы́с** „ჭაბუკი“, **арпҭарá** „ჭაბუკები“, **асы́с** „ბატკანი“, **асарá** „ბატკნები“, **ахәы́с** ხბო“, **ахәарá** „ხბორები“.

-**с** დიმიუნტივის სუფიქსი, ქ. ლომთათიძის აზრით, მომდინარეობს **апы́с** „ჩიტ“ სიტყვისაგან (ლომთათიძე).

ამრიგად, აფხაზურში მრავლობითობის მაწარმოებელი სუფიქსებია: **-кәа, -цәа, -аа, -ра, -раа < р+аа < а+аа**.

## 5. კუთვნილების კატეგორია

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აფხაზურს არ მოეპოვება ბრუნვათა სისტემა, მათ შორის ნათესაობითი ბრუნვა. ის, რაც სხვა ენებში გამოიხატება ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელით, (ე. ი. **კუთვნილება**) აფხაზურში გამოიხატება კუთვნილებითი ნაცვალსახელებიდან, ანუ პირ-კლასის ნაცვალსახელებიდან მომდინარე პრეფიქსებით.

სახელთა კუთვნილების კატეგორია აფხაზურში სახელის ფუძეზე ნაცვალსახელური წარმოშობის პრეფიქსთა დართვით იწარმოება. კუთვნილების გამომხატველი ნაცვალსახელური პრეფიქსებია:

მხ. რ.

I პ.	<b>сара</b> –	„მე“	<b>с(ы)</b>
II პ.	<b>уара</b> –	„შენ“ (მკ.)	<b>у(ы)</b>
	<b>бара</b> –	„შენ“ (ქ.)	<b>б(ы)</b>
III პ.	<b>иара</b> –	„ის“ (მკ.)	<b>и(ы)</b>
	<b>лара</b> –	„ის“ (ქ.)	<b>л(ы)</b>
	<b>иара</b> –	„ის“ (ნ., არაგ.)	<b>а</b>

მრ. რ.

I პ.	<b>хара</b> –	„ჩვენ“	<b>х(а)</b>
II პ.	<b>шара</b> –	„თქვენ“	<b>ш(ы)</b>
III პ.	<b>дара</b> –	„ისინი“	<b>р(ы)</b>

ამ პრეფიქსთაგან მხოლოდობითი რიცხვის მეორე და მესამე პირთა პრეფიქსები განარჩევენ მფლობელის გრამატიკულ კლასს. მეორე პირში ერთმანეთს უპირისპირდება მამაკაცისა და ქალის ქვეკლასები, ხოლო მესამე პირში – მამაკაცის, ქალისა და არაგონიერთა (ნივთის) ქვეკლასები. მეორე პირში **н(ы)** პრეფიქსი აღნიშნავს მხოლოდ მდედრობითი სქესის ადამიანებს. უფრო კონკრეტულია დანაწილება მესამე პირში: **и(ы)**- პრეფიქსით აღინიშნება მამაკაცი და მამრობითი სქესისად გაგებული ანთროპომორფული არსებანი (ღმერთი, ანგელოზი, წინასწარმეტყველი, ეშმაკი, ქაჯი, ტყის კაცი), **л(ы)**- პრეფიქსით აღინიშნება ქალი და მდედრობითი სქესისად მიჩნეული ანთროპომორფული არსებანი (ღვთისმშობელი, ალი, ტყის ქალი...), ხოლო **а**- პრეფიქსი აღნიშნავს ყველა არაგონიერ არსებასა და მოვლენას, მიუხედავად იმისა, სულიერია მფლობელი, თუ უსულო:

ნათესაობითი ბრუნვის (კუთვნილების გამომხატველი) პრეფიქსი მიერთვის არა მსაზღვრელს, არამედ საზღვრულს პრეფიქსად: **აჟჟაბ** **л-напы** „გოგოს ხელი“.

თუ სიტყვას მახვილი მოუდის ზოგადობის **a-** პრეფიქსზე, მაშინ კუთვნილებითი პრეფიქსები **ы-** ნახევარხმოვნითაა წარმოდგენილი: **აღა** „თვალი“ **сыла** „ჩემი თვალი“, მაგრამ **აღა** „ძალი“, **ღა** „ჩემი ძალი“.

	<b>მხ. რ.</b>		<b>მრ. რ.</b>
I პირი	<b>с(ы)- шәкәы</b> „ჩემი წიგნი“	I პირი	<b>ха- шәкәы</b> „ჩვენის წიგნი“
	<b>у(ы)- шәкәы</b> „შენი (მკ.) წიგნი“	II პირი	<b>шәы- шәкәы</b> „თქვენი წიგნი“
II პირი	<b>н(ы)- шәкәы</b> „შენი (ქ.) წიგნი“		
	<b>и(ы)- шәкәы</b> „მისი (მკ.) წიგნი“	III პირი	<b>ры- шәкәы</b> „მათი წიგნი“
III პირი	<b>л(ы)- шәкәы</b> „მისი (ქ.) წიგნი“		
	<b>а- шәкәы</b> „მისი (არაგ./ ნივთ.) წიგნი“		

## 6. გარდაქცევითობის კატეგორია

არსებით სახელთა **გარდაქცევითობის** ფორმები ასრულებს ქართული ენის ვითარებითი ბრუნვის ფუნქციას, თუმცა ბრუნვა არ არის. იგი იწარმოება ზოგადობის **a-** პრეფიქსის გარეშე წარმოდგენილ ფუძეზე **-с** სუფიქსის დართვით: **а-ха́ца** „მამაკაცი“, **хаца́-с** „მამაკაცად“, **а-нџа́р** „იარალი“, **нџа́р-с** „იარაღად“, **ауа́л** „ვალი“, **уа́л-с** „ვალად“.

## 7. ინსტრუმენტალისის კატეგორია

**ინსტრუმენტალისი** იწარმოება სახელის ზოგადობის **a-** პრეფიქსამოცილებულ ფორმაზე **-ла** სუფიქსის დართვით. ეს ფორმა ქართულად ვითარებითი ბრუნვით გადმოიცემა: **а-напы** „ხელი“, **напы-ла** „ხელით“, **ашьапы** „ფეხი“, **шьапы-ла** „ფეხით“, **а-еы** „ცხენი“, **еы-ла** „ცხენით“.

მრავლობით რიცხვში მდგარ სახელებთან **-ла** „დამოუკიდებელ ფუძედ“ იქცევა და დაირთავს მრავლობითი რიცხვის კუთვნილებით **ры-** პრეფიქსს, ხოლო არსებითი სახელი წარმოდგენილია მრავლობით

თი რიცხვის ფორმით: **анап-кэа ры-ла** „ხელებით“, **ашап-кэа р-ыла** „ფეხებით“, **ае-кэа ры-ла** „ცხენებით“.

ასევე ფორმდება -**ла** ელემენტი ნაცვალსახელებთან და საკუთარ სახელებთან ერთად ხმარებისას: **сарá сы-ла** „ჩემით“, **уарá уы-ла** „შენით“ (მკ.), **Алиас ны-ла** „ალიასის მეშვეობით“.

## 8. უქონლობის კატეგორია

**უქონლობას** გამოხატავს -**да** სუფიქსი, რომელიც სახელის ფუძეს დაერთვის: **ахы** „თავი“, **хы-да** „უთავო“, **аеы** „ცხენი“ **еыда** „უცხენო“, **аоны** „სახლი“, **оны-да** „უსახლო“.

უქონლობის კატეგორიის წარმოებისას, ისევე როგორც ინსტრუმენტალისის კატეგორიაში, სახელს ზოგადობა/განსაზღვრულობის აპრეფიქსი ჩამოსცილდება და მხოლოდ ამის შემდეგ ფორმდება -**да** უქონლობის სუფიქსით. ამგვარ ფორმებს აფხაზურში ზმნიზედური მნიშვნელობაც აქვს.

## 9. არსებით სახელთა სიტყვაწარმოება

აფხაზურში გვხვდება **ოდენფუძიანი, კომპოზიციით მიღებული** და **აფიქსაციით ნაწარმოები** არსებითი სახელები.

**ოდენფუძიანია:** **азы** „წყალი“, **ахы** „თავი“, **ацәа** „ვამლი“ და სხვ.

**კომპოზიციით** (ფუძეთა შეერთებით) მიღებული არსებითი სახელები აფხაზურში მრავლადაა. გვხვდება ორ, სამ და მეტკომპონენტია-ნი კომპოზიტები.

1) ორკომპონენტია-ნი კომპოზიტებია: **абнакәыты** „ხოხობი“ **ábна** „ტყე“, **акәты** „ქათამი“, **ацәымц** „კრაზანა“, **áцә** „ხარი“, **ámц** „ბუზი“, **амцáнз** „ალი“, **ámц** „ცეცხლი“, **áнз** „ენა“.

ეს სახელები შედგება ორი არსებითი სახელისაგან, ამასთან წინამავალი არსებითი სახელი მიმართებითი ზედსართავის ფუნქციით გვევლინება, ამიტომაც წინ უძღვის საზღვრულს, გამოდის მსაზღვრელად.

2) ორკომპონენტია-ნი კომპოზიტები, რომლებიც შედგება არსებითი და ზედსართავი სახელების ფუძეებისაგან: **ауацәапш** „წითური კაცი“, **ауафы** „კაცი, ადამიანი“, **áпш** <**акáпш** „წითური“, **аеейкәа** „შავი ცხენი“, **аеы** „ცხენი“, **аи́кәа** „შავი, **жәрацәгъá** „სიბერე ცუდი“, **ажәрá** „სიბერე“, **áцәга** „ცუდი“.

3) ორკომპონენტია-ნი კომპოზიტები, რომლებიც შედგება ორი არსებითი სახელისაგან და დაკავშირებულია ერთიმეორესთან **и-** კავში-



რით: **აҕеицыка** „პურ-მარილი“, **ача** „პური“, **ацыка** „მარილი“, **ацәейж** „სხეული“, **ацәа** „კანი“, **ажьы** „ხორცი“.

4) ორკომპონენტის კომპოზიტები, რომლებიც შედგება რიცხვითი სახელის ფუძისა და არსებითი სახელისაგან: **а-оы-маа** „არვა“ **о́бá** „ორი“, **амаá** „ხელი“.

5) ორკომპონენტის კომპოზიტები, რომლებიც შედგება სახელური ძირისა და ზმნური ძირისაგან. **ажәапкá** „ანდაზა“, **ажәá** „სიტყვა“, **апкá-рá** „გაჭრა“, **амрагы́лара** „აღმოსავლეთი“, **áмра** „მზე“, **агы́лара** „ადგომა“.

6) სამკომპონენტის კომპოზიტები, რომლებიც შედგება სახელური და ზმნური ფუძეებისაგან: **абы́зкаҭаҭа** „ობობას ქსელი“, **абы́з** „ენა“, **акáҭа** „ბადე“, **ахáра** „ქსოვა“, **лахьы́нцәҭгьа** „უბედური“. **аláхь** „შუბლი“, **а-нцá-рá** „დაწერა“, **áцәьҭа** „ცუდი“.

7) ოთხკომპონენტის კომპოზიტები, რომლებიც შედგება სახელური და ზმნური ფუძეებისაგან. **амышьхәы́лц** „იდაყვი“, **а-ма-пы́** || **а-на-пы́** „ხელი“, **а-шьа-пы́** „ფეხი“, **ахәá** „მოღუნული“, **á-лц-ра** „გამოდრომა“, **аеуапцáршә** „საოფლე, თოქალთო“, **аеы́** „ცხენი“, **а-уапá** „ნაბადი“, **пá** „ქვეშ“, **а-пá-ршә-ра** „ქვეშ დაგება“.

კომპოზიციის (თხზვის) დროს ზოგადობის **а-** პრეფიქსი დაერთვის მხოლოდ ახალი, რთული სიტყვის (კომპოზიტის) პირველ რთულ წევრ ფუძეს.

**ავიქსაცია** ავხაზურში პროდუქტიულია. ავიქსთა ერთი ნაწილის მნიშვნელობა გამჭვირვალეა, ისინი პრაქტიკულად ნახევარავიქსებს წარმოადგენენ, ზოგი ავიქსის წარმომავლობა კი საგანგებოდაა საკვლევი:

ა) განყენებულ ცნებათა (აბსტრაქტული სახელების) მაწარმოებელი **-ра** სუფიქსი: **ахапá-ра** „ვაჟკაცობა“, **апсара́** „ავხაზობა“

ბ) პროფესიის, მოქმედის აღმნიშვნელი **-оы** სუფიქსი, რომელიც ადამიანის აღმნიშვნელ ძირს ემთხვევა: **арца-оы** „მასწავლებელი“, **апаоы** „მოსწავლე“, **азса-оы** „მოცურავე“...

გ) თვისების, ჩვევის, მანერის ან ხერხის აღმნიშვნელი **-шьá** სუფიქსი: **ауаоы-шьá** „ადამიანობა“, **аказ-шьá** „თვისება, ხასიათი“, **азса-шьá** „ცურვის ხერხი“...

დ) სამოქმედო საგნის ან დანიშნულების **-тә** სუფიქსი, რომელიც ემთხვევა **а-тә** „საკუთრება“ სიტყვის ძირს: **аусý-тә** „სამუშაო, გასაკეთებელი რამ“, **афá-тә** „საჭმელი“, **аитагá-тә** „სათარგმნი“

ე) მოქმედების იარაღის აღმნიშვნელი **-га** სუფიქსი: **ахыс-га** „სასროლი (იარაღი)“, **ажы́-га** „ბარი“, **арцá-га** „სახელმძღვანელო“

ვ) კნინობით-ალერსობითი სახელების -**ჯა** სუფიქსი, რომელიც უკავშირდება **აჯა** „ბებერი, ძველი“ სიტყვის ფუძეს: **атакәа-жа** „დედაბერი“, **алыга-жа** „ბერიკაცი“, **агаза-жа** „ბრიყვი, სულელი“

ზ) ფამილარული მიმართვის -**хит** სუფიქსი, რომელიც მხოლოდ ადამიანის საკუთარ სახელებს დაერთვის: **манча-хит** „ჩემო მანჩა“

თ) ნაშიერთა ან მცირე ზომის საგანთა მაწარმოებელი (დომინუტივის) -**с** სუფიქსი: **асы-с** „ბატკანი“, **азы-с** „თიკანი“, **ахәы-с** „ხბო“

ი) ერთეულის, ცალის აღმნიშვნელი -**к** სუფიქსი, რომელიც განუსაზღვრელობასაც გამოხატავს: **әы-к** „ერთი ცხენი“, **шәкәы-к** „ერთი წიგნი“ **хәх-к** „ერთი ქვა“

კ) ერთეულის ცალის აღმნიშვნელი -**ц** სუფიქსი: **аханы-ц** „ცალი კბილი“, **аңы-ц** „ცალი ფოთოლი“, **ашхы-ц** „ერთი ფუტკარი“.

ლ) სიმცირის აღმნიშვნელი -**ба** სუფიქსი, რომელიც სიმცირისავე აღმნიშვნელ -**с** || > **з** სუფიქსს მოსდევს: **ала-с-ба** „ლეკვი“, **арһы-з-ба** „ჭაბუკი“, **аһхәы-с** „ქალიშვილი“...

მ) ეთნონიმთა, ტომის სახელთა ან სადაურობის მაწარმოებელი -**әа**, სუფიქსი, რომელიც ემთხვევა ადამიანის სადაურობის აღმნიშვნელ -**әа** ძირს: **аһсы-уа** „აფხაზი“, **акырт-уа** „ქართველი“, **агыр-уа** „მეგრელი“...

ნ) გვარსახელთა მაწარმოებლად თავდაპირველად **а-һа** „ვაჟი, ძე“ სიტყვის კუთვნილების პრეფიქსიანი **и-һа** „მისი (მკ.) ძე“ ფორმა დაერთვოდა ძირითად სახელს. ეს წარმოება რამდენიმე გვარსახელს დღესაც აქვს: **Инал-иһа** „ინალის ძე“, **Дадал-иһа** „დადალის ძე“. შემდგომში **иһа** ელემენტი შეერწყა წინამავალ საკუთარ სახელებს, დაიკარგა კუთვნილების **и**- პრეფიქსი, ხოლო **һ**- თანხმოვანი გამჟღერდა. ამ გზით მივიღეთ -**ба** სუფიქსი, რომელიც აფხაზურ გვარსახელთა უმრავლესობას აწარმოებს. **Кыс-ба**, **Цәыц-ба**, **Шынкә-ба**... თუ -**ба** სუფიქსიან გვარს მოსდევს ამ გვარის მამაკაცის სახელი, მაშინ -**ба** სუფიქსი უჩინარდება:

ქალის აღნიშვნისას -**ба** სუფიქსის ნაცვლად -**һа** „ასული“ ფუძე ემატება გვარსახელის ძირითად ნაწილს: **Кәасы-һа**, **Цәыц-һа**...

აფხაზური წარმოშობის რამდენიმე გვარს აწარმოებს კრებითობის -**аа** სუფიქსიც: **Ашәац-аа**, **Бармыш-аа**, **Абгац-аа**... სხვა შემთხვევაში ორი **а** ხმოვნით გადმოიცემა ქართველური წარმოშობის გვარსახელები, რომლებიც ქართულ სალიტერატურო ენაში -**ва** დაბოლოებით გვხვდება: **Читанаа** < ჭითანავა, **Сичинаа** < სიჭინავა...

ო) ადგილის აღმნიშვნელი -**та** სუფიქსი: **әгә-та** „შუა ადგილი, შუაგული“, **агәар-та** „ქართა, საქონლის სადგომი“, **Бзыһ-та** „ბზიფის ხეობა“.

პ) ადგილის აღმნიშვნელია აგრეთვე რთული -**р-та**, -**с-та**, **т-ра** სუფიქსები: **аус-урта** „სამუშაო ადგილი“, **ацәарта** „საწოლი“ **аһхә-рта** „სამკითხველო“

ჟ) ტოპონიმთა მაწარმოებელი **-рыпш** სუფიქსი, რომლის **-р** თანხმოვანი შესაძლოა კუთვნილების პრეფიქსი იყოს, ხოლო **-пш** ელემენტის წარმოშობა გაურკვეველია: **Дә-рыпш** „დურიფში“, **Цанд-рыпш** „ცანდრიფში“... ტოპონიმებს აწარმოებს აგრეთვე რთული **-р-хәа** „მათი გორა, მათი ბორცვი“ ნახევარსუფიქსი: **Цы-рхәа** „ჯირხვა“, **Блабы-рхәа** „ბლაბურხვა“... ორიოდე ტოპონიმში დასტურდება აგრეთვე **-ын||-н** სუფიქსი: **Апс-нын** „აფხაზეთი“, **Агыр-нын** „სამეგრელო“, **Бзып-ын** „ბზიფის აფხაზეთი“.

რ) ნაშრომის, ნაკეთობის აღმნიშვნელი **-мта** სუფიქსი: **афы-мта** „ნაწერი, თხზულება“, **аусу-мта** „ნაშრომი“, **акаца-мта** „ნაკეთობა“

ს) მამრობითი სქესის ცხოველ-ფრინველთა აღმნიშვნელი **-н** ნახევარსუფიქსი: **арна-н** „მამალი“, **акәтә-н** „კვერცი“ სიტყვაშიც.

ტ) სნეულების აღმნიშვნელი **-хь** ნახევარსუფიქსი, რომელიც **ахьаа** „ტკივილი“ სიტყვის ძირს უკავშირდება: **ахь-хь** „თავის ტკივილი, შაკიკი“, **амгәа-хьаа** „მუცლის ტკივილი“, **агәы-хь** „გულის ტკივილი“

უ) ვაზის აღმნიშვნელი ნახევარსუფიქსი **-жь**, რომელიც **ажь** „ყურძენი“ სიტყვას უკავშირდება, **ахәыхәы-жь** „მტრედყურძენა“ **азны-жь** „ზამთრის ყურძენი“, **азы-жь** „წყალყურძენი“.

### ნაცვალსახელი

ნაცვალსახელს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აფხაზურ ენაში. ნაცვალსახელის მეშვეობით გამოიხატება აფხაზურში ე. წ. სახელთა კუთვნილებითი კატეგორია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აფხაზურში არ არის ნათესაობითი ბრუნვა და საერთოდ ბრუნვები. ის, რაც სხვა ენებში გამოიხატება ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელით (ე. ი. კუთვნილება) აფხაზურში გამოიხატება კუთვნილებითი შინაარსის მქონე პრეფიქსებით, ანუ პირის ნაცვალსახელებიდან მომდინარე ფორმანტებით.

### კლასოვან-პიროვანი ნაცვალსახელი და კუთვნილებითი ნაცვალსახელის შინაარსის გამოხატვა

მხ. რ.																
I პ.	<b>сара</b>	–	„მე“	–	<b>с(ы)</b>											
II პ.	<table border="0"> <tr> <td rowspan="2">}</td> <td><b>уара</b></td> <td>–</td> <td>„შენ“ (მკ.)</td> <td>–</td> <td><b>у(ы)</b></td> </tr> <tr> <td><b>бара</b></td> <td>–</td> <td>„შენ“ (ქ.)</td> <td>–</td> <td><b>б(ы)</b></td> </tr> </table>	}	<b>уара</b>	–	„შენ“ (მკ.)	–	<b>у(ы)</b>	<b>бара</b>	–	„შენ“ (ქ.)	–	<b>б(ы)</b>				
			}	<b>уара</b>	–	„შენ“ (მკ.)	–	<b>у(ы)</b>								
<b>бара</b>	–	„შენ“ (ქ.)		–	<b>б(ы)</b>											
III პ.	<b>иара</b>	–	„ის“ (მკ.)	–	<b>и(ы)</b>											

<b>ლარა</b> – „ის“ (ქ.)	–	<b>ლ(ы)</b>
<b>იარა</b> – „ის“ (ნ., არაგ.)	–	<b>а</b>

მრ. რ.

I პ. <b>хара</b> – „ჩვენ“	<b>х(а)</b>
II პ. <b>шәара</b> – „თქვენ“	<b>шә(ы)</b>
III პ. <b>дара</b> – „ისინი“	<b>р(ы)</b>

ყველა კლასოვან-პიროვანი ნაცვალსახელი შეიძლება გამოყენებული იყოს უფრო მარტივი ფორმითაც, **ра**-ს გარეშე: **са** „მე“, **уа** „შენ“ (მკ.), **ба** „შენ“ (ქ.), **иа** „ის“ (მკ. და არაგ.) **ლა** „ის“ (ქ.), **ха** „ჩვენ“, **шәа** „თქვენ“, **და** „ისინი“...

მრავლობითი რიცხვის **хара** „ჩვენ“ და **шәара** „თქვენ“ ნაცვალსახელების გვერდით გამოიყენება **харт** „ჩვენ“ და **шәарт** „თქვენ“.

„აფხაზური ენის გრამატიკაში“ (ნაწილი დამუშავებულია ხ. ბლაჟუბას მიერ) მითითებულია, რომ **хара**-ს აქვს ინკლუზიური მნიშვნელობა: მოსაუბრე რთავს „ჩვენ“-ში მსმენელსაც, ხოლო ექსკლუზიური მნიშვნელობა, რომელიც მსმენელს გამორიცხავს, მიიღება პირის **хара** „ჩვენ“ ნაცვალსახელზე **-т** (**хар-т**) სუფიქსის დართვით (შდრ. აბაზ. **харабарат** „ჩვენ შენ გარეშე“. ანალოგიურად იწარმოება მეორე პირის ფორმა **шәара** „თქვენ“, **шәар-т** (შდრ. აბაზ. **шәарабарат** „თქვენ ჩემ გარეშე“ (აფხაზური ენის გრამატიკა 1968: 35).

ქართული – „სტუდენტის ხელი“ აფხაზურში იქნება **астудент – инапы...** ქართულის ნათესაობითი ბრუნვის შესაბამისი სუფიქსი მიერთვის არა მსაზღვრელს, არამედ საზღვრულს პრეფიქსად:

**ქართ.** ქალიშვილ-ის ხელი **აფხაზ.** **аҟәаб л-напы**

თუ სიტყვაში მახვილი მოდის ზოგადობის **а**- პრეფიქსზე, მაშინ კუთვნილებითი პრეფიქსები **ы**-თია წარმოდგენილი:

**áла** – **сыла** „ჩემი თვალი“

**ала́** – **сла́** „ჩემი ძაღლი“

მაგ.: **сарá с-áн и-напы** „მამაჩემის ხელი“

**сарá с-áн л-шьаны́** „დედაჩემის ფეხი“

**уарá у-фы́за и-хы́** „შენი (მკ.) ამხანაგის თავი“

ასე მიიღება კლასოვან-პიროვან ნაცვალსახელთაგან კუთვნილებების შინაარსის მქონე ნაცვალსახელური პრეფიქსები აფხაზურში.

აფხაზურში დამოუკიდებელი მნიშვნელობის კუთვნილებითი ნაცვალსახელების უქონლობა ჩანაცვლებულია პირ-კლასის ნაცვალსახელთაგან მომდინარე ე. წ. „ი“-ს რიგის პრეფიქსებით (იხ. ზემოთ).

ნაცვალსახელური კუთვნილებითი პრეფიქსები ემთხვევა შესაბამის კლასოვან-პიროვან ნაცვალსახელთა თავკიდურ ელემენტებს, გარდა ორი შემთხვევისა:

მესამე პირის მხოლოებითი რიცხვის კუთვნილებითი **a-** პრეფიქსი განსხვავდება ნივთთა (არაგონიერთა) კლასის მესამე პირის **нара** „ის“ კლასოვან-პიროვანი ნაცვალსახელის **на-** ძირისაგან. ეს **a-** პრეფიქსი იკარგება სინტაგმიდან, თუ საზღვრული სიტყვის წინ უშუალოდ დგას ამ ნიშნით გადმოსაცემი მსაზღვრელი.

მრავლობითი რიცხვის III პირის კუთვნილებითი **p-** ნიშანი, რომელიც არ ემთხვევა შესაბამისი **дара** „ისინი“ ნაცვალსახელის თავკიდურ ელემენტ **д-ს**.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ **дара** „ისინი“ უნდა მომდინარეობდეს „**para**“-დან და დისიმილაციის საფუძველზეა **p-** მიღებული. ამის საილუსტრაციოდ მოყვანილია **и-д-рашәит //и-р-рашәит** „ისინი მარგლავენ“.

ამრიგად პირველადი უნდა ყოფილიყო არა **дара**, არამედ **para** (აფხ. ენის გრამატიკა 1968: 34).

ქ. ლომთათიძე კი ფიქრობს, რომ III პირის მრავლობითის ნიშანი **д-** უნდა ყოფილიყო ისტორიულად და არა **p-** იგი **д-** უნდა მომდინარეობდესო **дара** ნაცვალსახელისაგან (ლომთათიძე 1945).

ამრიგად, სახელურ სინტაგმაში აფხაზურში ასეთ შემთხვევებში დამატებით კლასოვან-პიროვანი ნაცვალსახელიც ან მკუთვნელის აღმნიშვნელი სიტყვაც უნდა იყოს გამოყენებული: **ла(ра)||апхәыс лыцкы капшыуп** „მისი ქალის კაბა წითელია“... ამ დროს ნაცვალსახელი შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც სრული, ისე მარტივი სახითაც (გვანცელაძე 2003: 60).

აფხაზურში კუთვნილებითი ნაცვალსახელის როლში ხშირად გვევლინება კუთვნილებითი ნაცვალსახელური პრეფიქსებით გაფორმებული **a-тәы** „კუთვნილება, საკუთრება“ ან **a-хатәы** „თავისი, პირადი“ ფუძეები, რომელთა ამოსავალი მნიშვნელობა დაჩრდილულია.

- са(ра) – стәы** „ჩემი კუთვნილი“
- иа(ра) – итәы** „შენი (მკ.) კუთვნილი“ და ა. შ.
- ха(ра) х-тәы** „ჩვენი კუთვნილი“
- шәа(ра) шә-тәы** „თქვენი კუთვნილი“

### ჩვენებითი ნაცვალსახელი

ჩვენებითი ნაცვალსახელი აღნიშნავს მოსაუბრესთან ახლოს ან შორს მყოფობას. ჩვენებითი ნაცვალსახელიც შეიძლება შეგვხვდეს სრული ან შემოკლებული სახით:

მოსაუბრესთან ახლოს მყოფი: **აბრი//არი** „ეს“, **აბართ//ართ** „ესენი“.

მოსაუბრესთან მოშორებით მყოფი, ხილული: **აბნი ანი** „ეგ, ის“, **აბანტ ანტ** „ეგენი, ისინი“.

მოსაუბრესთან შორს მყოფი და უკვე ნაცნობი: ...**უბრი//უი** „ის, იგი“, **უბართ ურტ** „ისინი“.

ჩამოთვლილი ნაცვალსახელები ხშირად ენაცვლება III პირის კლასოვან-პიროვან ნაცვალსახელებს. შესიტყვებაში ყველა ჩვენებითი ნაცვალსახელი მსაზღვრელია და წინ უძღვის საზღვრულს. მაგ.: **აბრი//არი აფნი** „ეს სახლი“, **აბნი//ანი აფნი** „ეგ სახლი“, **უბრი აფნი** „ის სახლი“, **აბართ//ართ აფიკაა** „ეს სახლები“, **აბანტ//ანტ აფიკაა** „ეგ სახლები“, **უბართ//ურტ აფიკაა** „ის სახლები“ (გვანცელაძე 2003: 59).

### კითხვითი ნაცვალსახელის შინაარსის გამოხატვა

დამოუკიდებელი კითხვითი ნაცვალსახელი აფხაზურს არ გააჩნია. ამ მნშვნელობით აფხაზური იყენებს **ნა** ძირს, „ნ“-ს რიგის კლასოვან-პიროვანი ნაცვალსახელური წარმოშობის პრეფიქსებით გაფორმებულს:

**სარბან სარა?** „მე ვინ, რომელი ვარ?“

**უარბან უარა?** „შენ (მკ.) ვინ, რომელი ხარ?“

**ბარბან ბარა?** „შენ (ქ.) ვინ, რომელი ხარ?“

**დარბან?** { **იარა?**  
**ლარა?** „ის (ადამ.) ვინ, რომელია?“

**იარბან იარა?** „ის (ნ., არაგ.) რა, რომელია?“

**ხარბან ხარა?** „ჩვენ ვინ, რომელი ვართ?“

**შაარბან შაარა?** „თქვენ ვინ, რომელი ხართ?“

**იარბან დარა?** „ისინი ვინ, რომელი არიან?“

იგივე **-ნა** ძირია კითხვით სიტყვაში **იზნან?** „რატომ“, „რისთვის“, ეს ძირი ნაწილაკად ჩართვის დროსაც გვხვდება.

კითხვით ნაცვალსახელებში დიფერენცირებულია ადამიანისა და ნივთის (არაგონიერთა) კატეგორიები, **дарбан?** „ვინ?“ (ადამიანი) და **иарбан?** „რა?“ (ნივთი, არაგონ.).

„ვინ“ ნაცვალსახელის მნიშვნელობის გადმოსაცემად გამოიყენება ადამიანის კლასის კითხვითი -**да < дарбан?** „იგი (ადამ.) რომელი, ვინ (არის)?“ სუფიქსით ნაწარმოები ფორმები:

- сара сызус(та)да?** „მე ვინ ვარ?“
- уара узус(та)да?** „შენ (მკ.) ვინ ხარ?“
- бара бзус(та)да?** „შენ (ქ.) ვინ ხარ? და ა. შ.

კითხვით-კუთვნილებითი „ვისი?“ ნაცვალსახელის მნიშვნელობა აფხაზურში გადმოიცემა საკუთრების აღმნიშვნელ **тәы** ძირზე ადამიანის კლასის კითხვითი -**да** სუფიქსის დართვით:

- сыз(тәы)да?** „მე ვისი ვარ?“
- уз(тәы)да?** „შენ (მკ.) ვისი ხარ?“
- быз(тәы)да?** „შენ (ქ.) ვისი ხარ?“ და ა. შ.

„ვინ?“ და „რა?“ ნაცვალსახელთა მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე დამხმარე **акәзаара** „ყოფნა“ ზმნის კითხვითი კილოს ფორმები:

- сара сзакәы(зе)и?** „მე ვინ, რა ვარ?“
- уара узакәы(зе)и?** „შენ (მკ.) ვინ, რა ხარ?“
- бара бзакә(зе)и?** „შენ (ქ.) ვინ, რა ხარ?“ და ა. შ.

### განსაზღვრებითი ნაცვალსახელი

განსაზღვრებითი ნაცვალსახელება: **а-хата** „თვით, თვითონ“, რომელიც იცვლება კლასებისა და პირის მიხედვით:

- с-хата** „მე თვითონ“
- у-хата** „შენ (მკ.) თვითონ“
- б-хата** „შენ (ქ.) თვითონ“ და ა. შ.

**дасу/доусы** „ყოველი“, **рызагы** „ყველა“, **иззыгы** „ყველა“, **аеа /даеа** „სხვა“, **егы** „სხვა, მეორე“...

### განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელება: **акы** „რაც, რამე“ (არაგონიერთა კლასის რიცხვით სახელთაგან „ერთი“ მომდინარე), **азы** „ვიდაც, ვინმე“ (გონიერთა კლასის „ერთი“ რიცხვითი სახელისაგან მომდინარე), **акыр** „რამე; რამდენიმე“, **зыр** „ვინმე, ვიდაც, **пытәк**

„რამდენიმე“ (არაგ.) **пѣтык** „რამდენიმე“ (აღამ.), **поуқы/ шыоуқы** „ზოგი, ვინმე“ (გვანცელაძე 2003: 61-63).

### ზედსართავი სახელი

აფხაზურ ენაში ზედსართავი სახელი მეტყველების ნაწილთა შორის გამოყოფილია როგორც სემანტიკურ-გრამატიკული კატეგორია, რომელსაც არსებითი სახელის დამახასიათებელი ნიშნებიც აქვს. ესენია ზოგადობის პრეფიქსი **а-**, განუსაზღვრელობის **-к** სუფიქსი, მრავლობითობის **-кәа** სუფიქსი, გარდაქვევითობის **с** სუფიქსი...

მაგ.: **а-капш** „წითელი“ (ზოგადი ფორმა)  
**капшы-к** „რომელიღაც წითელი (განუსაზღვრელი ფორმა)  
**капш-кәа** „წითლები“  
**капшы-с** „წითლ(ად)“...

ზედსართავი სახელი არის ვითარებითი და მიმართებითი. ატრიბუტულ სინტაგმაში ვითარებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს: **асы́ шкә́кәа** „თოვლი თეთრი“, **ае́ы́ ды́у ...** „ცხენი დიდი“ და სხვ.

მრავლობით რიცხვში ნივთთა (არაგონიერთა) კატეგორიაში მრავლობითობის **-кәа** სუფიქსით ფორმდება მსაზღვრელი: **ае́ы́ ды́у** „დიდი ცხენი“, **ае́ы́ дү́кәа** „დიდი ცხენები“.

აღამიანის კლასში (გონიერთა კატეგორიაში) კი ადგილი აქვს სხვაობას: აღამიანთა კატეგორიის სახელს მრავლობითში ექნება თავისი **-цаа** სუფიქსი, ან რომელიმე სხვა სუფიქსი, მაგ.: კრებითობის **-ра, -аа...** ხოლო ვითარებითი ზედსართავით გამოხატულ მსაზღვრელს, რომელიც აგრეთვე მოსდევს საზღვრულს, თავისი, ნივთთა (არაგონიერთა) კატეგორიის **-кәа** სუფიქსი: **аха́цаа ды́кәа** „დიდი კაცები“, ზედმიწ.: „კაცები დიდები“... **ае́ы́цаа бзы́акәа** „ამხანაგები კარგები“ **ачкә́ынцаа хә́ы́чкәа** „ბიჭები პატარები“...

### ვითარებითი ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები

ვითარებით ზედსართავ სახელთა შედარებითი ხარისხის ფორმა იწარმოება აღწერით **-аиха** „მეტად“, **ацкы́с** „უფრო, ვიდრე“ დამოუ-



კიდებელ სიტყვათა კუთვნილებითი ფორმის დამატებით. ასეთ შემთხვევაში ზედსართავი სტატიკური ზმნის დაბოლოებას იღებს **ყი ახაца еиха дьун** „ის კაცი უფრო დიდა“, **арй чкэын иарá ицкьыс бзыоуп** „ეს ბიჭი იმაზე უფრო კარგია“...

ვითარებით ზედსართავ სახელთა აღმატებითი ხარისხის ფორმა იწარმოება ინტენსივობის **-за, -зза** სუფიქსებით: **ады** „დიდი“, **иду-зза** „უდიდესი“...

აღმატებითი ხარისხი აღწერთადაც გამოიხატება, ამისათვის გამოყენებულია **даара-за** „ძალიან“, **кырза** „ბევრად“ სიტყვები, რომლებიც დაერთვის სტატიკური ზმნის ფორმის მქონე ვითარებით ზედსართავს: **даара ипшзо-уп** „ძალზე მშვენიერია“ **кырза бзыо-уп** „ძალიან კარგია“.

თვისების ინტენსიურობის გამომხატველია აგრეთვე ვითარებით ზედსართავ სახელებს დართული ხმაბადებითი, ფუძეგარკვევებული სიტყვა-სუფიქსები: **-кэакэара, -цацаара, -хахара, -шьшьыра...**, რომლებიც შესაძლოა **-за** სუფიქსითაც იყოს წარმოდგენილი: **ипшза-кэакэара** „ძალიან ლამაზი“, **икапш-какара-за** „ძალზე წითელი“...

ვითარებითი ზედსართავის ოდნაობით ხარისხს აწარმოებს **цэы-პრეფიქსი. а-цэы-капш** „მოწითალო“, **а-цэы-хэа** „მონაცრისფრო“...

მიმართებითი ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი წინ უსწრებს საზღვრულს. ასეთი მსაზღვრელ-საზღვრული სუბსტანტიური სინტაგმაა.

მიმართებითი ზედსართავები ავხაზურში სხვა სახელთა ფუძისგანაც შეიძლება იყოს ნაწარმოები. კუთვნილებითობის **-тэы** სუფიქსით, რომელიც **а-тэы** „საკუთრება“ სიტყვიდან მომდინარეობს: **ахáхá-тэы аоны** „ქვის სახლი“, **амфэйтэи гэара** „ხის ღობე“, **тагáлантэи быць** „შემოდგომის ფოთოლი“...

### რიცხვითი სახელი

ავხაზურში რიცხვითი სახელი არის რაოდენობითი, რიგობითი, კრებითი, მიახლოებითი, ჯერობის, ჯუფთობის...

რაოდენობითი რიცხვითი სახელი განასხვავებს კლას-კატეგორიას. ნივთის (არაგონიერთა) კლასის რაოდენობითი რიცხვითი სახელის ფუძეს, ორიდან მოყოლებული, ერთვის **-ნა** ან მისგან მომდინარე **-ნა** სუფიქსი, ადამიანის კლასში კი **ნა**-ს ნაცვლად გვაქვს **-ფы**, სამიდან მოყოლებული, რომელიც **ауафы** „ადამიანი“ სიტყვიდან მომდინარედ მი-აჩნია ქ. ლომთათიძეს. ამასთან ზოგადობის **а**- პრეფიქსი რიცხვით სა-

ხელს ჩამომორდება. **-ფი** სუფიქსს შესაძლოა **-კ** განუსაზღვრელობის აფიქსიც დაერთოს **ხ-ფი(კ)** „სამი რომელიღაც ადამიანი“...და სხვ.

არაგონიერი, ნივთი	გონიერი, ადამიანი
<b>აკყ</b> „ერთი“	<b>აჯყ</b>
<b>ფ-ნა</b> „ორი“	<b>ფი-ნა (-კ)</b>
<b>ხ-ნა</b> „სამი“	<b>ხ-ფი (-კ)</b>
<b>ნაშ-ნა</b> „ოთხი“	<b>ნაშ-ფი (-კ)</b>
<b>ხა-ნა</b> „ხუთი“	<b>ხა-ფი (-კ)</b>
<b>ფ-ნა</b> „ექვსი“	<b>ფ-ფი (-კ)</b>
<b>ნაშ-ნა</b> „შვიდი“	<b>ნაშ-ფი (-კ)</b>
<b>აა-ნა</b> „რვა“	<b>აა-ფი (-კ)</b>
<b>ნა-ნა</b> „ცხრა“	<b>ნა-ფი (-კ)</b>
<b>ნაა-ნა</b> „ათი“	<b>ნაა-ფი (-კ)</b>

განსხვავებას ქმნის: „ერთი“ რიცხვითი სახელი არაგონიერთა კლასში **-აკყ**, ადამიანთა კლასში **აჯყ**.

„ორი“ არაგონიერთა კლასში **ფ-ნა**, ადამიანთა კლასში **ფი-ნა**; რიცხვი ორსავე შემთხვევაში არის **ფ** „ორი“, **-ნა** არაგონიერთა (ნივთის), ხოლო **-ნა** ადამიანთა კლასის ნიშანია.

**ხ-ნა** **ნა** მიღებულია **ნა**-საგან **ნ**-ს **ნა**-დ დაყრუების შედეგად **ხ**-ს მომდევნო პოზიციაში.

თერთმეტიდან მოყოლებული რაოდენობითი რიცხვითი სახელები იხმარება ნივთის (არაგონიერთა) კატეგორიის **-ნა** სუფიქსის გარეშე, ადამიანის (გონიერთა) კლასისათვის კი **-ფი** შენარჩუნებულია.

თერთმეტიდან რიცხვითი სახელი მიიღება ასე: **ნაა** „ათი“, რომელსაც ერთვის ან კავშირით **ნ**, ან უკავშიროდ ერთეულისავე (ათამდე) რიცხვითი სახელის ძირი **-ნა**-ს გარეშე.

არაგონიერთა ნივთთა კლასი	გონიერთა, ადამიანის კლასი
<b>ნაა-ნა</b> > <b>ნაა</b> „თერთმეტი“	<b>ნაა-ნა-ფი(-კ)</b>
<b>ნაა-ნა</b> „თორმეტი“	<b>ნაა-ნა-ფი(-კ)</b>
<b>ნაა-ნა</b> „ცამეტი“	<b>ნაა-ნა-ფი(-კ)</b>
<b>ნაა-ნა-ნა</b> „თოთხმეტი“	<b>ნაა-ნა-ნა-ფი(-კ)</b>
<b>ნაა-ნა</b> „თხუთმეტი“	<b>ნაა-ნა-ფი(-კ)</b>
<b>ნაა-ნა</b> „თექვსმეტი“	<b>ნაა-ნა-ფი(-კ)</b>
<b>ნაა-ნა-ნა</b> „ჩვიდმეტი“	<b>ნაა-ნა-ნა-ფი(-კ)</b>
<b>ნაა-ნა</b> „თვრამეტი“	<b>ნაა-ნა-ფი(-კ)</b>

**ze-и-жә** „ცხრამეტი“ **ze-и-жә-ფы(-к)**

ოცის შემდგომ „ოცდაცხრამეტის“ ჩათვლით რიცხვითი სახელები იწარმოება შემდეგნაირად: აღებულია „ოცის“ აღმნიშვნელი **ფაჟა** ფუძე და ემატება რიცხვითი სახელები „ერთიდან“ „ცხრამეტამდე“. შუაში ჩაერთვის **и** კავშირი, რომელიც იწვევს **a > еи** ცვლილებას ნაწილობრივი ასიმილაციით და მიიღება:

**არაგონიერთა, ნივთთა კლასი**

<b>ფაჟა(е)и акы</b>	„ოცდაერთი“
<b>ფაჟა(е)и фба</b>	„ოცდაორი“
<b>ფაჟა(е)и хџа</b>	„ოცდასამი“
<b>ფაჟა(е)и пшььба</b>	„ოცდაოთხი“
<b>ფაჟა(е)и хәба</b>	„ოცდახუთი“
<b>ფაჟა(е)и фьба</b>	„ოცდექვსი“
<b>ფაჟა(е)и бжььба</b>	„ოცდაშვიდი“
<b>ფაჟა(е)и аабა</b>	„ოცდარვა“
<b>ფაჟა(е)и жәба</b>	„ოცდაცხრა“
<b>ფაჟა(е)и жәаба</b>	„ოცდაათი“
<b>ფაჟა(е)и жәениза</b>	„ოცდათერთმეტი“
<b>ფაჟა(е)и жәафа</b>	„ოცდათორმეტი“
<b>ფაჟა(е)и жәаха</b>	„ოცდაცამეტი“
<b>ფაჟა(е)и жәиџш</b>	„ოცდათოთხმეტი“
<b>ფაჟა(е)и жәохә</b>	„ოცდათხუთმეტი“ და ა. შ.

**გონიერთა, ადამიანის კლასი**

<b>ფაჟა(е)и азәы</b>	„ოცდაერთი“
<b>ფაჟა(е)и фыжә(е)и фыца</b>	„ოცდაორი“
<b>ფაჟა(е)и хфы(-к)</b>	„ოცდასამი“
<b>ფაჟა(е)и пшьфы(-к)</b>	„ოცდაოთხი“
<b>ფაჟა(е)и хәфы(-к)</b>	„ოცდახუთი“

ოცეულთა სახელების წარმოება შემდეგნაირია: „ორმოცს“ აღნიშნავს **ფы-и-ფაჟა** რიცხვითი სახელი (არაგონიერთა, ნივთთა კლასი) ან **ფы-и-ფაჟა-фы(к)** (გონიერთა, ადამიანთა კლასი), „სამოცს“ აღნიშნავს **хы-и-ფაჟა**, „ოთხმოცს“ **пшьы-и-ფაჟა...** და ა. შ. ანუ სიტყვასიტყვით: „ორჯერ ოცი“, „ოთხჯერ ოცი“ და სხვ. **-и** თანხმომავანი აღნიშნავს ჯერობას.

ასეულებს აფხაზურში ასეთი წარმოება აქვს: **шәкы** „100“ **шәкыакы** „ას ერთი“, **шышә** „ორასი“, **хышә** „სამასი“, **жәшә** „ცხრაასი“ და მისთ.

**зыкъы** „ათასი“, **зыкъышы(к)** „ათასი ადამიანი“ (გონიერთა, ადამიანთა კლასი)

ათასეულებს შორის თვლა ისევე გრძელდება, როგორც ასეულებს შორის.

**რიგობითი** რიცხვითი სახელი რაოდენობით რიცხვით სახელზე **а-** პრეფიქსის და დანიშნულების **-тәи** სუფიქსის დართვით მიიღება. **а-оша-тәи** „მეორე“, **а-хпә-тәи** „მესამე“ და ა.შ.

რიგობით რიცხვით სახელებში გამოიყენება **-оа** სუფიქსიანი რაოდენობითი რიცხვითი სახელი.

პირველისათვის გამოიყენება **апхьа** „წინ, წინა“ ზმნიზედა, რომელსაც დანიშნულების **-тәи** სუფიქსი დაერთვის: **апхьа-тәи** „პირველი“, ან **р-апхьа-тәи** „მათგან უპირველესი“, სადაც **р-** III პირის მრავლობითობის ნიშანია. ზედმიწევნით: „მათგან უპირველესი“...

**წილობითი** რიცხვითი სახელი აღწერთად გადმოიცემა: **ошара шаны хәтак** „ერთი მეორედი“, ზედმიწევნით: „ორგან გაყოფილი ერთი ნაწილი“ და სხვ.

თუ წილადის მრიცხველი „ერთია“, მაშინ მნიშვნელის როლში მყოფ რაოდენობით რიცხვით სახელს ერთვის **р-ак** „მათგან ერთი, ერთი მათგანი“ **хпә-р-ак** „ერთი მესამედი“, **пшә-р-ак** „ერთი მეოთხედი“... „ნახევარს“ აღნიშნავს სიტყვა **әнжа: ацә әнжа** „ვამლის ნახევარი“.

**კრებითი** რიცხვითი სახელი იწარმოება რაოდენობით სახელზე **а-** პრეფიქსის დართვით **а-хәна** „ხუთივე“, **а-жәна** „ათივე“. ასევე **а-** პრეფიქსისა და **-гьы** „ც“ ნაწილაკის დართვით: **а-хәна-гьы** „ხუთივე“, **а-жәна-гьы** „ათივე“...

**მიახლოებითი** რიცხვითი სახელი მიიღება რაოდენობით რიცხვით სახელზე **акара** „ტოლი, ოდენი“ სიტყვისაგან მომდინარე **-ка** სუფიქსის დართვით: **оша-ка** „ორიოდე რამ“, **оша-ка** „ორიოდე ვინმე“; ან ჩამოთვლით: **оша-хпә** „ორი-სამი რამე“, **оша-хшык** „ორი-სამი ვინმე“.

**ჯერობის** რიცხვითი სახელი რაოდენობით რიცხვით სახელზე რთული **-н-тә** სუფიქსის დართვით იწარმოება, რომელშიც **-н** ჯერობის სუფიქსია, **-тә** კი დანიშნულების: **оы-н-тә** „ორჯერ“, **хы-н-тә** „სამჯერ“ და ა. შ.

„ერთი“ რიცხვითი სახელისაგან ჯერობის რიცხვითის მისაღებად **за** „ერთი რიცხვითი სახელის 3 ელემენტს ერთვის **-ны-к** სუფიქსები და ვიღებთ **з-ны-к** „ერთხელ“ შინაარსს.

**ჯუფთობის** სახელები იწარმოება ფუძის გაორკეცებით: **ак-ака** „თითო-თითო რამე“, **ორ-ორი** რამე“, **ор-ორი** რამე“, **ор-ორი** ვინ-მე“, **აკაკა** „თითო-თითოდ“ (არაგონ, ნივთის შესახებ) **აჯაჯა** „თითო-თითოდ“ (გონიერის, ადამიანის შესახებ) **-ა** სუფიქსი, სავარაუდოდ, ინსტრუმენტალისის მაწარმოებელი უნდა იყოს.

## ზ მ ნ ა

ავხაზური ზმნა მორფოლოგიურ კატეგორიათა სიუხვით გამოირჩევა. ამ ენას არ გააჩნია ბრუნების სისტემა, ამიტომ ის, რაც სხვა ენებში სახელის ბრუნვათა მეშვეობით აისახება, ავხაზურში ზმნის საშუალებით გადმოიცემა.

### მასდარი

მასდარი ავხაზურში ზმნის საწყისი ფორმაა, რომელსაც **a-** თავსართი და **-pa** ბოლოსართი აწარმოებს.

ერთმანეთისაგან განსხვავდება დინამიკური და სტატიკური ზმნის მასდარი.

დინამიკური ზმნის მასდარი ზემოთ აღნიშნული **a-** პრეფიქსისა და **-pa** სუფიქსის მეშვეობით იწარმოება **a-ka-a-pa** „კეთება“, **a-ta-pa** „მიცემა“, **a-p-a-p-a** „სწავლა“...

სტატიკური ზმნის მასდარს დაერთვის **-zaa** ე. წ. მდგომარეობის ხანგრძლივობის, დიურატიულობის აღმნიშვნელი სუფიქსი.

**a-ma-zaa-pa** „ქონა, ყოლა“, **a-ka-zaa-pa** „ყოფნა-არსებობა“.

ზოგჯერ მასდარი წარმოდგენილია ზოგადობის **a-** პრეფიქსის გარეშე და ასრულებს მიზნის გარემოების როლს. მაგ.: **хьызрацара дцент** „სახელის მოსახვეჭად წავიდა“ (გვანცელაძე 2003: 64).

### სტატიკურობა-დინამიკურობა

ზმნეები ავხაზურში ორ რიგად იყოფა: სტატიკური და დინამიკური.

სტატიკურობა-დინამიკურობას ავხაზური ზმნის უღლებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.

### სტატიკური ზმნეები

სტატიკურ ზმნებს თავისებური ფუძე აქვთ და ისინი დროთა წარმოების მიხედვით ძალზე შეზღუდულია, აქვთ აწმყო დრო **-п** სუ-

ფიქსით ნაწარმოები და ნამყო განუსაზღვრელი დრო -**н** სუფიქსით ნაწარმოები.

სტატიკური ზმნის ფუძედ შეიძლება გამოყენებული იყოს არსებითი და ზედსართავი სახელის ფუძე (**а**-პრეფიქსჩამოშორებული და დრო-კილოთა, პირ-კლასისა და სხვა კატეგორიათა ნიშნებდართული: **сара сыбзиоуп>сыбзиуп** „მე კარგი ვარ“, **сара сыдыуп** „მე დიდი ვარ“.

-**заа** სუფიქსიანი მასდარისაგან სტატიკური ზმნის წარმოებისას ეს სუფიქსი ძირს ჩამოსცილდება: **а-ка-заа-ра** „ყოფნა, არსებობა“, **сы-ко-уп** „მე ვარ“, **а-ма-заа-ра** „ქონა, ყოლა“, **исы-мо-уп** „ის მე მაქვს, მყავს“.

